საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიანურებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 1 აგვისტო. 2019 წ. №154 (8820) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სიყალბე თევზივით თავიდან ყარს

პრეზიდენტ პუტინის მიერ წარმოდგენილი ცრუ ისტორიის წინააღმდეგ ვიმოწმებ იმპერატორ ალექსანდრ I პავლოვიჩს, საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ კნორინგს, ვ.ი. ლენინს და, თუ საჭირო გახდება, - ი.ბ. სტალინს.

4-5

სიმართლე კი ასეთია!

ახალი ავტობუსები, მეტროს შემადგენლობა, ტაქსების რეფორმა და საგზაო ინფრასტრუქტურა დედაქალაქში...

მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა თბილისის მერიაში

დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, რამდენიმე დღის წინათ თურქეთის ქალაქ სტამბოლში იმყოფებოდა, სადაც ISUZU-ს მარკის რვამეტრიანი ავტობუსები დაათვალიერა. თბილისისთვის განკუთვნილი 220 ერთეული ავტობუსი დედაქალაქში წლის ბოლომდე შემოვა.

„იცით, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც მოსახლეობას ერთი წლის წინათ წარვუდგინეთ. მასში დეტალურად იყო გაწერილი ის გეგმა, რომლის განხორციელებასაც მუნიციპალიტეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად აპირებს. უახლოეს დღეებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) თბილისისთვის ევრო 6-ის სტანდარტის, გაზზე მომუშავე, 110 ერთეული 12-მეტრიანი ავტობუსის შესყიდვაზე ახალ ტენდერს გამოაცხადებს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, თბილისში მოძრავი ე.წ. ყვითელი ავტობუსები სრულად ჩანაცვლდება, რადგანაც დედაქალაქის მოსახლეობა ახალ, ყველაზე სწრაფ ავტობუსებს იმსახურებს.

„ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა წარვადგინეთ და მინდა გთხოვოთ, მიაქციოთ ყურადღება, თუ რამდენად თანამიმდევრულად ასრულებს თბილისის მერია სატრანსპორტო პოლიტიკის თითოეულ პუნქტს, რომელშიც შედის, რა თქმა უნდა, პარკირების, ტაქსების რეფორმა, მეტროს სისტემის რეაბილიტაცია და რაც მთავარია, ახალი ავტობუსების შემოყვანა“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

რაც შეეხება მეტროს, კახა კალაძის განცხადებით, 12 შემადგენლობიდან რვა განახლებული შემადგენლობა უკვე ხაზზეა გაშვებული და წლის ბოლომდე დანარჩენი ოთხიც დაემატება.

„რასაკვირველია, სატრანსპორტო პოლიტიკა გაცილებით გრძელვადიანია, ვიდრე მერის უფლებამოსილების ვადა, თუმცა პირობას გაძლევთ, რომ ჩემი ვადის განმავლობაში, მაქსიმუმს გავაკეთებ და შევასრულებ ყველა იმ პუნქტს სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა და, რა თქმა უნდა, მოსახლეობა შედეგსაც მალე იხილავს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

იხ. 2 გვ.

ანაკლიის პორტი აუცილებლად აშენდება!

2016 წლის შემდეგ, როცა პორტის მშენებლობასა და ოპერირებაზე ინტერესთა გამოხატვაში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ გამარჯვებულად გამოცხადდა, პროექტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მთავრობა ინვესტორს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მუდმივად ხელს უწყობს, – ნათქვამია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. სამინისტროს ცნობით, უპრეცედენტო მხარდაჭერის დასტურია ჯერ კიდევ საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებამდე მთავრობის მხრიდან გაცემული თანხმობა 100 მილიონი დოლარის ოდენობით დამატებითი ფინანსური ვალდებულების აღების შესახებ, რაც გათვალისწინებული არ იყო ინტერესთა გამოხატვის დროს.

ასევე, გასული წლის დეკემბრიდან „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან სესხის მისაღებად, ბანკებსა და ინვესტორს შორის მოლაპარაკებებში, მთავრობის უშუალო ჩართულობა. სამინისტრო აცხადებს, რომ მართებულად არ მიაჩნია ინვესტორის კომერციული რისკების სახელმწიფოს მიერ დაზღვევა, რაც სრულად ეწინააღმდეგება კერძო ინვესტიციის შინაარსს და საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილების პრინციპს.

„რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოუწოდებს ინვესტორს, რომ პროექტის მნიშვნელობასა და უნიკალურობაზე პოპულისტური საუბრის ნაცვლად, თავდაპირველად დადგენილი ვადების რამდენჯერმე გადაწევის შემდეგ მაინც მოიძიოს აუცილებელი დაფინანსება და დროულად დაიწყოს ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პირველი ფაზის მშენებლობა.

ვარწმუნებთ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის ყველა გულშემატკივარს, რომ პორტი აუცილებლად აშენდება კერძო თუ სახელმწიფო ინვესტიციით“, – ნათქვამია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველო რუსეთის მიერ აღმართული ახალი რკინის ფარდის მიღმაა

8

„მთელმა ერმა თუ არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“!

3

გალელ ქართველებს გვარის აფხაზურად გადაკეთებას სთავაზობენ

გიორგი ჩოგოვაძე „ატლასგლობალის“ წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორი გიორგი ჩოგოვაძე „ატლასგლობალის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

გიორგი ჩოგოვაძემ და „ატლასგლობალის“ წარმომადგენლებმა კომპანიის საქართველოს ავიაბაზარზე დაბრუნებასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

16 ივლისს, ერთწლიანი პაუზის შემდეგ, თურქული ავიაკომპანია „ატლასგლობალი“ საქართველოს ავიაბაზარზე დაბრუნდა. ავიაკომპანია თბილისი-სტამბოლი-თბილისის მიმართულებით რეისებს კვირაში ოთხჯერ ასრულებს, ხოლო ზამთრის სანავიგაციო სეზონიდან ფრენების ყოველდღიურად განხორციელება იგეგმება.

„ატლასგლობალი“ თბილისიდან სტამბოლის გავლით ტრანზიტულ რეისებს ასევე, ლონდონის, დიუსელდორფის, ამსტერდამის, პარიზისა და ბელგრადის მიმართულებით ასრულებს. ქართულ ბაზარზე „ატლასგლობალის“ გაყიდვების ოფიციალური წარმომადგენელი „ეიპიჯი ჯორჯიაა“ (APG Georgia). დღესვე, „ატლასგლობალი“ თბილისში არსებული სააგენტოებისთვის, ავიაციისა და ტურისტულ სფეროს წარმომადგენლებისთვის საქართველოს ავიაბაზარზე დაბრუნების აღსანიშნავად საზეიმო მიღებას გამართავს. ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვა ავიაკომპანია „ატლასგლობალის“ კომერციული დირექტორი ნევზატ არსანი.

პაატა სალია: „რუსთავი-2“ არ გაითიშება

ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ყველა ფინანსური დავალიანება გადავიხადოთ, — ამის შესახებ „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა პაატა სალიამ „სტერეო პლუსის“ განცხადების საპასუხოდ საქართველოს პირველ არხს განუცხადა. პაატა სალიას თქმით, ხვალ, ღამის 12:00 საათზე „რუსთავი-2“ არ გაითიშება და გააგრძელებს მაუწყებლობას.

„სტერეო პლუსმა“ განცხადება გავრცელა, რომლის მიხედვით, პირველ აგვისტოს ეროვნული მაუწყებლობა შესაძლოა, „რუსთავი-2“-ს, „ერთსულოვნებასა“ და „ტვ პირველს“ შეუწყდეთ. გადაწყვეტილება პირველმა კერძო მულტიპლექს ოპერატორმა „სტერეო +“-მა, კომპანიაში შექმნილი ურთულესი ფინანსური მდგომარეობის გამო მიიღო. ეს გამოწვეულია ღია საეთერო ეროვნული მაუწყებლების მიერ, მომსახურების საფასურის გადაუხდელობით. აღნიშნული ტელეკომპანიების გათიშვის გადაწყვეტილება მიღებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება მითითებულ დრომდე დაფარული არ იქნება“, — აცხადებენ „სტერეო პლუსში“.

(პირველი გვერდიდან)

ახალი ავტობუსები, მეტროს შემადგენლობა, ტაქსების რეფორმა და საგზაო ინფრასტრუქტურა დედაქალაქში...

თბილისის მერი ტაქსების რეფორმის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ტაქსებისთვის განკუთვნილი ვაუჩერების გაცემა 10 აგვისტოს დასრულდება. კახა კალაძის თქმით, ორი ტიპის ვაუჩერი გაიცემა. მათგან ერთი განკუთვნილია ავტომანქანის ფერის შეცვლისთვის, ხოლო მეორე — ინტერიერის ქიმიური წმენდისთვის.

„ამ შემთხვევაში, ყურადღებას გავამახვილებ მეორე ვაუჩერზე, რომელიც ასევე უფასოა. მინდა მივმართო A კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსის მფლობელებს, რომ ისარგებლონ ამ ვაუჩერით. შეგიძლიათ მიბრძანდეთ, ინფორმაცია მიიღოთ taxi.tbilisi.gov.ge-ზე, თუ სად შეგიძლიათ მიიღოთ ეს ვაუჩერები და სუფთა, მოწესრიგებული ავტომანქანებით მოემსახუროთ დედაქალაქის მოსახლეობას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერი ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემასაც გამოეხმაურა, რომელიც ხვალიდან, კოტე აფხაზის ქუჩასა და მიმდებარე ტერიტორიაზე ამოქმედდება. მისივე თქმით, ზონალურ-საათობრივი პარკირება სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და მიმართულებაა.

„საპილოტე პროექტი იწყება ხვალიდან და მას თბილისის სატრანსპორტო კომპანია ახორციელებს. კომპანიის თანამშრომლები ზონალური პარკირების არეალებში იმუშავებენ და სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს კონსულტაციას გაუწევენ, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ფასიანი პარკირებით და როგორ გადაიხადონ. გარდა ამისა, ჩვენ განთავსებული გვქონდა საინფორმაციო ჯიხური მთელი ამ თვეების განმავლობაში იმისთვის, რომ დაინტერესებულ პირებს, იქ მცხოვრებლებს მიეღოთ სრული ინფორმაცია ამ ახალ რეფორმასთან დაკავშირებით“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დაინტერესებულ პირს მობილურში უკვე შეუძლია ჩამოტვირთოს სპეციალური აპლიკაცია, რომელიც მათ ზონალურ-საათობრივი საპარკინგე ადგილების და სხვა დეტალების გარკვევაში დაეხმარება.

მთავრობის სხდომაზე ყურადღება ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გამახვილდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ **თბილისის მერია მარშალ გელოვანის გამზირისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობას იწყებს.**

კახა კალაძის თქმით, ლისის ტბიდან ჩამოსასვლელი გზა სუპერმარკეტ „აგრო ჰაბსა“ და ყოფილ „მათე მოტორსს“ შორის გაივლის და მარშალ გელოვანს დაუკავშირდება.

„მოეწყობა ორი კილომეტრის სიგრძის, ოთხზოლიანი ბეტონის საავტომობილო გზა, ამსვლელ-ჩამომსვლელი ორ-ორი ზოლით. პროექტი ასევე, ითვალისწინებს საყრდენი კედლების, წყალამრიდებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარე განათების ქსელის მოწყობას. 15 მილიონი ჯდება ამ პროექტის განხორციელება და სამუშაოების წარმოებას შვიდი თვე დასჭირდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, დედაქალაქის მერმა კახეთის გზატკეცილის სათადარიგო ზოლების უხარისხოდ შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, კონტრაქტორი კომპანიები გააკრიტიკა და მათ პასუხისმგებლობა დააკისრა. კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე საკომუნიკაციო ჭებთან არსებული ასფალტის საფარის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალაც წარადგინა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ცენტრალური მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სათადარიგო ზოლები მაქსიმალურად დაიტვირთა, პრობლემამ თავი იჩინა.

„სათადარიგო ზოლები შარშან რეაბილიტირდა და ჯამში, 15 მილიონი დაჯდა. ეს არის სრული უპასუხისმგებლობა. საკომუნიკაციო ჭის თავების ირგვლივ სრული კატასტროფაა. თუ იმ კომპანიებს ჰგონიათ, რომ მერია ამ სამუშაოებისთვის თავიდან დახარჯავს ფულს, ძალიან ცდებიან. როგორც კი სამუშაოები დასრულდება, ეს გზა უნდა მოწესრიგდეს ისე, რომ პრობლემა არ იყოს მასთან დაკავშირებით და ამაზე არ უნდა დაგვჭირდეს ყურადღების გამახვილება.

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა აღნიშნა, რომ თემქის ხევის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული კომპანია „ატელიე არქიტექტი“ გამოვლინდა, რომელმაც რეკრეაციული სივრცის მოწყობის პროექტი ოთხი თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს. მისივე თქმით, აღნიშნული ტერიტორიის სარეკრეაციო ფუნქციით განვითარება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმითაა გათვალისწინებული.

„თემქის ხევის რეაბილიტაციის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. ხევი მოიცავს, დაახლოებით, 23 ჰა ტერიტორიას და დარწმუნებული ვარ, ამ ადგილზე ძალიან კარგი რეკრეაციული სივრცე მოეწყობა. როგორც კი გვექნება დასრულებული პროექტი, მაშინვე გამოვაცხადებთ ტენდერს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე. სამუშაოებს კი კომპანიის შერჩევისთანავე დავიწყებთ. აღსანიშნავია, რომ პროექტზე მუშაობის დაწყებამდე, ტერიტორიაზე უკვე ჩატარდა წინასაპროექტო კვლევა (გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, დენდროლოგიური და სხვა ტიპის კვლევები), რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი განვითარების პერსპექტივა და ამ კვლევის შედეგები და რეკომენდაციები პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, თბილისის მერი დიღმის ჭალებში საქალაქო პარკის მოწყობის პროექტსაც შეეხო. დედაქალაქის მერმა აღნიშნა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელი კომპანია უკვე რამდენიმე დღეში გამოვლინდება და ახალი საქალაქო პარკის მშენებლობაც უახლოეს დღეებში დაიწყება.

კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე ვაკის რაიონში, მრგვალი ბაღის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებაში ჩართულ მხარეებს მადლობა გადაუხადა.

„კომპანიამ, რომელსაც სამუშაოები უნდა განეხორციელებინა, პრობლემები შეგვიქმნა — ვერ ასრულებდა თავის ნაკისრ ვალდებულებას. შემდეგ, კომპანიის შეცვლა მოგვიწია. ბიზნესის მხარდაჭერით, თანადგომითა და ჩართულობით, მრგვალი ბაღი რეაბილიტირებული, ყველანაირად მოწესრიგებულია და იქ მისული ადამიანები, დარწმუნებული ვარ, აღნიშნული პროექტით ამაყობენ. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო და მონაწილეობას იღებდა პროექტის განხორციელებაში.

კახა კალაძის თქმით, გლდანის მეექვსე მიკრორაიონში მდებარე ახალრეაბილიტირებული პარკი 2 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნება.

„მინდა, ყველას მოგიწოდოთ, მობრძანდეთ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. 20:00 საათზე გვექნება ამ ულამაზესი, რეაბილიტირებული პარკის გახსნა. აქ მოწყობილია ყველანაირი სივრცე დასვენებისთვის — სპეციალური ზონა ბავშვებისთვის, საკალათბურთო, საფეხბურთო მოედნები, სივრცე ძაღლების გასასეირნებლად და ასე შემდეგ. პარკი ყოველმხრივ კეთილმოწყობილი და გამწვანებულია ახალი ხე-ნარგავებით. ასე რომ, შეგიძლიათ მობრძანდეთ, იქნება კონცერტი, საზეიმო განწყობა და დარწმუნებული ვარ, ამ პროექტით აუცილებლად ისიამოვნებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ 10 აგვისტოდან, თბილისის ათივე რაიონში სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი პროდუქცია ყოველგვარი გადასახადების გარეშე გაყიდონ. კომფორტულად მოწყობილ დახლებზე ვაჭრობის უფლება მოქალაქეებს რეგისტრაციის შემდეგ მიეცემათ.

„ქუჩაში ვაჭრობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ადამიანები, რომლებსაც ძალიან უჭირთ და მძიმე მდგომარეობაში არიან, გამოდიან და მეტროსთან ან სხვა ხალხმრავალ ადგილზე ცდილობენ თავიანთი პროდუქტის გაყიდვას. მე, რა თქმა უნდა, მესმის და შევდივარ მათ მდგომარეობაში — ადამიანს რომ ულხინდეს და ბედნიერი იყოს, ქუჩაში არ დადგებოდა პროდუქტის გასაყიდად, თუმცა არის მეორე მხარეც, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ: ჩვენ მაქსიმალურად დაცული უნდა ვიყოთ, რადგან ეს სერიოზულ პრობლემას და დისკომფორტს წარმოადგენს.

ამასთან, მერმა რაიონების გამგებლებს დაავალა, მაქსიმალური კომუნიკაცია ჰქონდეთ მოსახლეობასთან, აღნიშნული სიახლესთან დაკავშირებით მათი ინფორმირების მიზნით, რათა მოქალაქეებმა იცოდნენ, როგორ დარეგისტრირდნენ.

ორი ქართული ღვინო ევროპის საუკეთესო ღვინოებს შორის

სტატიაში „ცხრა საუკეთესო ევროპული ღვინო ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან, რომელიც დაგეხმარებათ პოტენციური ხისტი ბრექსიტისგან გადარჩენაში“, ნათქვამია, რომ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ, ალტერნატივად ბრიტანელებმა შესაძლოა, გამოიყენონ ქართული ღვინოები, „ოროველას“ საფერავი და „იბერიულის“ ქვევრის ღვინო „ქისი“.

„საქართველოს მეღვინეობის ანტიკური ტრადიცია აქვს, ზოგიერთი კი ამბობს, რომ ეს ნეოლითის ხანიდან მოდის. საბედნიეროდ, „ოროველას“ საფერავის შესანიშნავ წითელ ღვინოს ქვის ხანის არაფერი აქვს. დამზადებულია ადგილობრივი გამძლე ჯიშის საფერავის ყურძნისგან, რომელიც ცნობილია საკმაოდ ცივ ტემპერატურასთან გამძლეობით. სავსეა მუქი და წითელი ხილის არომატებით, სავსეა დამაკმაყოფილებელი ტანინებით და აქვს ხანგრძლივი გემო“ – წერს „ინდეფენდენთი“.

ბრიტანული გამოცემა „იბერიულის“ ქვევრის ღვინო „ქისთან დაკავშირებით ნარინჯისფერზე აკეთებს აქცენტს და სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ თეთრი ღვინო ფერს ექვსი თვის განმავლობაში ტყავთან კონტაქტის გამო იღებს.

საჩხერეში „მეტადონით“ ჩანაცვლებითი თერაპიის კაბინეტი გაიხსნა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ გაბუნიამ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელთან ლაშა კილაძესთან ერთად საჩხერეში „მეტადონით“ ჩანაცვლებითი თერაპიის კაბინეტი გახსნა.

ბაღდათში მტკნარი და მინერალური წყლის მწარმოებელი საწარმო აშენდება

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა დიმში მტკნარი და მინერალური წყლის მწარმოებელი საწარმო აშენდება, რისთვისაც 2 000 000 ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება. ახალი საწარმო თანამედროვე სტანდარტების დანადგარებით იქნება აღჭურვილი და წელიწადში არანაკლებ 1 460 000 ლიტრი წყლის წარმოებას შეძლებს.

კურორტ „გოდერძის“ გაზიფიცირება იწყება

მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობა პირველად გაზით სარგებლობას შეძლებს. კურორტ „გოდერძზე“ გაზი იქნება. აჭარის მაღალმთიან ნაწილში გაზიფიცირების მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში უკვე დასრულდა 900 მეტრ მონაკვეთზე გაზის მილების მონტაჟი. ამ დროისთვის სამუშაოები შუახევის ცენტრიდან ხიჭაურისკენ ხორციელდება.

„მთელმა ერმა თუ არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“!

დისტანციური გაკვეთილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის

3. ძვეშნის სუვერენიტეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მკაცრად განსაზღვრულ სახელმწიფო იდეოლოგიას. სწორედ ის არის თაობათა აღზრდა-ჩამოყალიბების, განათლებისა და ზნეობრივი მრწამსისა და ორიენტაციების საფუძველთა საფუძველი. ერთი ერი მეორისაგან, სწორედ, ორიგინალური სახელმწიფო იდეოლოგიით განსხვავდება. სახელმწიფო იდეოლოგია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად ეროვნულ ღირებულებებსაც გულისხმობს და სწორედ ეს ანიჭებს მას ორიგინალობას, რითაც იგი საინტერესო ხდება სხვათათვის.

ამჯერადაც გაგაცნობთ კონკრეტულ ინფორმაციას განსჯისთვის:

სნეულმა ქართველებმა, რომლებსაც დასავლეთში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს უწოდებენ, დაჟინებით მოითხოვეს გეი-აღლუმის ჩატარება რუსთაველის პროსპექტზე. სამასამდე მამათმავლის, ლესბოსელისა და მათი მსგავსი არსებების განზრახვა დანარჩენ საქართველოს სოდომურ ცოდვად, მკრეხელობად, ქალაქის სათაყვანებელი გამზირის წაბილწვად და ქართველი ბავშვების გამრყვნელ პროპაგანდად მიაჩნია. ეს შეგნება ჩვენი ხალხის ცნობიერებაში სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშია აყვანილი. ეს იციან ლგბტ თემის წევრებმა და, ამიტომ, ამჟამად პარლამენტის წინ შეკრებილი შიზოფრენიკები ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივიან – ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში ყველგან ტარდება გეი-პარადები და ჩვენი ხელისუფლება მაინცდამაინც რუსეთის ხელისუფლებას რატომ ბაძავს და ტაშისკვრით არ გვხვდებაო. ამიტომ, ვინც ჩვენ გეი-აღლუმს არ გვატარებინებს, უნდა გადადგეს, თორემ ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლითო.

ჩვენ რომ მკაცრად განსაზღვრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია გვქონდეს, რაც კონსტიტუციურ ნორმაშიც აისახებოდა, რუსთაველზე ეს აბსურდის (მავნებლური!) თეატრი ვერ გაიმართებოდა. ხელისუფლებას კანონიერი უფლება ექნებოდა, გაერეკა ეს იდიოტების ბრბო.

ახლა რაც პარლამენტის წინ ხდება, სახელმწიფოს არსებობაზე მეტყველებს? არა და არა.

4. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკუთარი ხალხის ინტერესებზე დაფუძნებული სამეურნეო-ეკონომიკური ორიენტაციები გლობალური ეკონომიკური განვითარების კონტექსტში.

ინფორმაცია განსჯისთვის:

ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის სრული უვიცობის კლასიკური მაგალითი მოხდა; სამტრედიის პრეფექტის ბრძანებით რუსეთისკენ მიმავალი სატვირთო მატარებლების ეშელონები რელსებზე მიადუღეს და რუსეთს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადეს. ამის გამკეთებლებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების რაიმე ორიენტაცია თუ ჰქონდათ ნეტავ?! რა ორიენტაცია, რის ორიენტაცია! ძალიან მოკლე ხანში თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო დაიხურა და ქართველი მუშახელი მთელ მსოფლიოში მიმოიფანტა. მრეწველობის მოშლამ სოფლის მეურნეობაც მოშალა (აბა, რას იზამდა!) და ქართული სოფლები ისე სწრაფად დაცარიელდა, თითქოს მონღოლთა ურდოები შემოესივნენო!

ეს იყო სახელმწიფო? აპა! ან ახლაა?

ჩვენნაირ პატარა ქვეყანაში ამდენი დაუმუშავებელი მიწა შეიძლება იყოს? ან მოყვანილი ხილი თუ ბოსტნეული ულპებოდეს გლეხს იმის გამო, რომ მისი გადამუშავება-რეალიზაციის საშუალებები არ არსებობს?

5. სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის გარანტი არის ჯარი და პოლიცია. თითოეული ჩვენგანის მიერ სახელმწიფოში დელეგირებული უფლება-მოვალეობანი თუ საიმედოდ იქნება დაცული, მაშინ თითოეული ჩვენგანის დაცულობა გარანტირებულია. ამიტომ ჯარისა და პოლიციის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი შეურაცხმყოფელი და უდიერი ქმედება განიხილება, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფა, რაც სამშობლოს ღალატის ტოლფასია; თუ ასეთი ქმედება ქვეყნის გარედან ხორციელდება, მაშინ ეს ფასდება, როგორც აშკარა აგრესია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

აქვე გთავაზობთ უახლეს ინფორმაციას განსჯისათვის:

როდესაც ბრბო ქვებს უშენს და ხელკეტებით ერეკება პოლიციას დაკავებული პოზიციიდან და დაუსჯელი რჩება, იმ ქვეყნის სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკი უკვე შეუძლებელია; ან კიდევ, როდესაც ე. წ. პოლიტიკოსების მიერ წაქეზებული ბრბოდ ქცეული ხალხი პარლამენტში შეჭრას ცდილობს და პოლიციის კორდონს შტურმით არღვევს, პოლიციელებს ფარებსა და ხელკეტებს ართმევს და მათვე ურტყამს თავში, ხელისუფლება კი თავს იმართლებს წყლის ჭავლის, ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენების გამო, რა სახელმწიფოზე შეიძლება საუბარი!

სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას თავის რომელიმე სუვერენულ უფლებაზე, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ხალხის უმრავლესობის თანხმობით, რაც რეფერენდუმის საშუალებით დადასტურდება. ასევე, აუცილებელია, რომ ქვეყნის დაცვის ვალდებულება კონსტიტუციით იყოს განმტკიცებული და ამ მოვალეობისგან მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეიძლება გათავისუფლდეს მოქალაქე.

ამრიგად, სახელმწიფო კოლექტიური პიროვნებაა, რომელსაც ისევე აქვს ღირსება, თავმოყვარეობა და სიამაყე, როგორც ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს.

ყოველივე ზემოაღნიშნული არის ის ფუნდამენტი, რასაც სახელმწიფო სისტემა ეყრდნობა და რაც მარადიული და ხელშეუხებელია. ცალკეული ელემენტების შინაარსი ქვეყნის სოციალური განვითარების კვალობაზე დიალექტიკურ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ ფუნდამენტური ღირებულებები არ იცვლება.

აი, ეს არის სახელმწიფო!

ახლა ამ სახელმწიფოებრიობის პრიზმაში დავინახოთ საქართველო და შევაფასოთ, რამდენად არის იგი სრულყოფილი სახელმწიფო...

ორიოდე წლის წინათ რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა მზაობა, შეხვედროდა საქართველოს ხელისუფლების პირველ პირს მოლაპარაკების მაგიდასთან. ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილია 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, რაც განდგომილი სეპარატისტული ტერიტორიების დაბრუნების მცდელობამ გამოიწვია. განდგომილი სეპარატისტული ტერიტორიების საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების გასაღები რომ მხოლოდ მოსკოვში დევს და არა სადმე სხვაგან, ამაში ეჭვი მხოლოდ ჭკუანაკლებებსა და ტვინნაღრძობებს ეპარებათ. ჰო, და მათ დასაბრუნებლად, მოსკოვთან მოლაპარაკების გარდა სხვა გზა არსებობს? სულელის მეტი არავინ იტყვის კიო.

...ქუჩაში ბავშვები რომ თამაშობდნენ, ვინმე ყასიდად რომ წაქცეულიყო და ვინმესთვის დაებრალებინა, ფეხი დამიდო და იმიტომ წავიქეცი, აუცილებლად გაილახებოდა, პირველ რიგში თავისიანებისგან. სიცრუისათვის, დიახ, სიცრუისათვის! ახლა უნამუსოდ იტყუებიან ყველანი, ისე, როგორც მამლის ქურდი იფიცებოდა, მამალი მე არ მომიპარავსო, არა და, მამალს კუდი აშკარად უჩანდა ჩოხიდან. ახლა კუდი კი არა, მთელი მამალი უჭირავთ ხელში და გაიძახიან: ეს მამალი კი არა „ბარამბოს“ ბომბონერიაო. აქ რაიმე არგუმენტის მოტანა მამლის ქურდის გასამტყუნებლად სრული უაზრობაა. ერთადერთი, რასაც ცრუფიცილას დაუპირისპირებენ, დაგინებაა: „მაშ, მტყუანს... ცოლი და დედაო! ისე, ეჭვი მაქვს, ან ამ დაგინებამ რომ გაჭრას, რადგან ნახევარი საქართველო დღეში ასჯერ მაინც ამბობს: ჩემი დედაო!..

მთელმა საქართველომ და მის ფარგლებს გარეთაც იხილეს, რა დაუნდობელ შეტევას ახორციელებდნენ ე. წ. მომიტინგეები პარლამენტის შენობაზე, მაგრამ ამ შეტევის ორგანიზატორი „ოპოზიციური“ პარტიის წარმომადგენლები ჯიქურ გაიძახიან, მშვიდობიანი მომიტინგეები ვიყავითო და პოლიციას ძალის გამოყენებაში ადანაშაულებენ. ბეჩავი ხელისუფლება, თავის მართლების რეჟიმში ჰყავთ გადაყვანილი.

ხელისუფლებამ არ იცის განა, პარლამენტის წინ თავმოყრილი ბრბო რატომ მოითხოვს შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას ასე დაჟინებით? ეგ გადადგეს და დავიშლებითო, – აცხადებენ. რატომ? განათლებისა და თავდაცვის, ეკონომიკისა და ჯანდაცვის, ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრები ნამეტნავად მოსწონთ? მეტი არაა ჩვენი მტერი, ეს ასე არ იყოს! გახარია ამ ამ მიტინგობანას წინა დღეებში კაცურად განაცხადა: გეი-აღლუმის ჩატარება არ მოიწადინოთ, მე მამათმავლების (ანუ პედერასტების) ინტერესების დამცველი არ ვიქნებიო! აი, ამიტომ აგორდა ეს მიტინგობანია, თორემ ირაკლი კობახიძის სკამზე გავრილოვი დაჯდებოდა. პოლოსიანი, ალი-ზადე თუ სამჭკუაშვილი, სულ ცალ ფეხზე არ ეკიდა ახალგაზრდების იმ ტვინგამოცლილ ნაწილს, რომლებიც პარლამენტის შენობის წინ მოყარეს ქვეყნის გამყიდველებმა, ვაიპოლიტიკოსებმა და თახსირმა ენჯეოებმა.

იხ. 6 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. №153

სიყალბე თევზივით თავიდან ყარს



პრეზიდენტ პუტინის მიერ წარმოდგენილი სრუ ისტორიის წინააღმდეგ ვიმოწმებ იმპერატორ ალექსანდრ I პავლოვიჩს, საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ კნორინგს, ვ.ი. ლენინს და, თუ საჭირო გახდება, - ი.ბ. სტალინს.

რუსთავორელმა გაბუნიამ რომ რუსეთის პრეზიდენტი აგინა, იმას რაც მოჰყვა, გვახსოვს: პირველი — მთელი საქართველო აღშფოთებისგან ფეხზე დადგა; მეორე — რუსეთის დუმამ საჯარიმო ეკონომიკური სანქციების მთელი ნუსხა აგვაფარა თვალებზე; მესამე — გაბუნიასგან ბინძურად გალანძღულმა პრეზიდენტმა პუტინმა, რომელსაც „ქართველები ძალიან უყვარს“, ამ სანქციებს ვიზა არ მისცა, თუმცა საქართველოს ბლოკირების ნაწილმა (ფრენების აკრძალვამ) გააღწია კრემლს გარეთ; მეოთხე — ბატონმა პუტინმა მაინც გვასწავლა ჭკუა „საყვარელ ქართველებს“ — აიღო და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თავში ჩაგვაფარა — ჩვენი ისტორია ისე „გადაგვიწერა“, კიდევ ის ეკონომიკური სანქციები სჯობდა, მგონია. ეს მოხდა თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის ურთიერთობაზე საუბრისას, საჯაროდ.

7 ივლისს ვლადიმირ ვლადიმიროვიჩმა საზოგადოებას სრულიად თავდაჯერებულად მიმართა: **უყურეთ, ოსეთი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში... (აქ ვითომ დაფიქრდა — ა.ა.) მგონი სწორად მახსოვს 1774 წელს. შევიდა მთლიანად, როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილოეთი ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მოგვიანებით მოვლენები მიმდინარეობდა ერთიანი სახელმწიფოს ჩარჩოებში — ოსეთის სამხრეთი ნაწილი შევიდა — ტფილისის გუბერნიის შემადგენლობაში (არავითარი საქართველო არ იყო ტფილისის გუბერნია)... სასტიკად იქცეოდნენ ქართული ჯარები ოსეთში 1919-1920 წლებში. ეს არსებითად იგივეა, რასაც დღეს გენოციდი ჰქვია. კარგი იქნება ამ ყველაფრის ცოდნა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის. ამის დავიწყება არასოდეს არ შეიძლება, თუ საქართველოს ხელისუფლებას უნდა ურთიერთობის მოგვარება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხალხებთან...“**

ამ წერილს რომ ზემოხსენებული რუსთავორელი გაბუნია წერდეს, დარწმუნებული ვარ, ამ პასაჟის კომენტარად უეჭველად ამას იტყოდა, „მაშ მტყუანის დედაო“ და ამ შემთხვევაში სწორიც იქნებოდა, რადგან, ბატონი პუტინი, რომელიც ასე ლაღად მიაპობს საქართველოს ისტორიის ტალღებს და მის უცოდინარობას უკიჟინებს „დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებას“, თვითონვე სცოდავს, თანაც იმის უბრალოდ არცოდნით კი არ სცოდავს, რის შესახებაც აზრს გამოთქვამს, არამედ იმათ, რომ აბსოლუტურად ჭეშმარიტების წინააღმდეგ ირჯება. თანაც ის რასაც ბრძანებს, არახალია, კარგა ხნის წინათ თქვეს არა უბრალოდ ისტორიის გამყალბებლებმა, არამედ ჩასაფრებულმა ქართველთმოძულეებმა.

* * *

შევახსენებ პატივცემულ ვლადიმირ ვლადიმირის ძეს:

2004 წლის 10 ივლისს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მკაცრად დაგმო საქართველოს ხელისუფლების მოქმედება (მაშინ ის ხელისუფლება არ იყო, ის ხელისუფლება იყო — ა.ა.), რაც „სამხრეთ ოსეთში ვითარების დესტაბილიზაციისკენ იყო მიმართული“.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, ქალბატონმა სლისკამ სხდომაზე განაცხადა, რომ „**1774 წელს ოსეთი როგორც ერთიანი ქვეყანა და არა ჩრდილოეთი და სამხრეთი, ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის შემადგენლობაში“**. ოსი სეპარატისტების მიერ ჩაწოდებული ეს „აღმოჩენა“ ასევე შევიდა დუმის მიერ მიღებულ დოკუმენტში — **„ეს ერთი ხალხია“**. არ გახსოვს ეს ამბავი, მკითხველო? შენი არ ვიცი, მე კი შანთით ამომწვარივით მახსოვს.

აი, ეს გაიმეორა სიტყვასიტყვით პრეზიდენტმა პუტინმა, რაც მაფიქრებინებს, რომ ისტორიული სიყალბე კრემლში მზამზარეულად დევს მოხერხებულ ადგილზე და საჭიროების შემთხვევაში უმალ შეუცურებენ სახელმწიფო დუმის დეპუტატს თუ პრეზიდენტს.

რომელ ერთიან ოსურ სახელმწიფოზე ლაპარაკობენ ამ განცხადების ავტორები, ბუნებაში რომ არ არსებულა, იმაზე?

1774 წელმ რუსეთის შემადგენლობაში შევიდა კავკასიონის გადაღმა მცხოვრები ოსებით დასახლებული ქვეყანა, ანუ ის, რასაც დღეს ჩრდილოეთ ოსეთი (ალანია) ჰქვია, მას არასდროს არ ჰქონია სამხრეთ ოსეთის სახელით ცნობილი ნაწილი, ანუ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ანუ დღევანდელი თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“.

ეს „სამხრეთ ოსეთი“ ყოველთვის, მარადჟამს, ნოეს კიდობნიდან, წარმოადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს, ანუ ისტორიულ ზენასოფელს, რომელსაც ოსეთთან, ანუ დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთთან, ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივად საერთო არაფერი ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მის ტერიტორიაზე კომპაქტურად ცხოვრობდნენ ოსები.

კიდევ ერთხელ ვთქვათ, უკვე მრვალგზის ნათქვამი: გვიანი ფეოდალიზმის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით შიდა ქართლში, მაჩაბლების სათავადოში კარგად ცნობილი მიზეზების გამო, ინტენსიურად ხდებოდა ოსების ჩამოსახლება. იქ კომპაქტურად დასახლებული ოსები კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე მათი ისტორიული სამშობლოს მოსახლეობისგან რომ განესხვავებინათ, ჩნდება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ (მოგვიანებით, ამ ტერმინმა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარშიც“ ჰპოვა ადგილი).

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრ I

საქართველოს პირველი მთავარმართებელი, გენერალ-ლეიტენანტი კარლ კნორინგი

ვ.ი. ლენინი

ამრიგად, რუსეთმა კიდევ ერთხელ ოფიციალურად შემოაგდო **„ერთიანი ოსეთის“** რუსეთთან შეერთების იდეა, ჯერ სახელმწიფო სათათბიროს, ახლა პრეზიდენტის მიერ გახმოვანებული. რუსი ობივატელის ცნობიერებაზე ახალი იერიში მიიტანეს: **მტერი უნდა ვეძებოთ უპირველესად საქართველოში.** რუს სამხედრო მანქანას განტევების ვაცი სჭირდება.

* * *

მაგრამ პრეზიდენტ პუტინს ჩვენი შეპასუხება ქართული მისტიფიკაცია რომ არ ეგონოს (ერთი წუთით დავუშვათ, რომ მან ეს წერილი წაიკითხა-წააკითხეს), წარვუდგენ ზემორეთქმულის დამამტკიცებელ ღირებულ მოწმეებს: რუსეთის იმპერატორს **ალექსანდრ I პავლოვიჩს,** საქართველოს პირველ მთავარმართებელს გენერალ-ლეიტენანტ **კნორინგს** და გენერალ-მაიორ **ლაზარევს**, რომელიც, სხვათა შორის, მოგვიანებით, 1803 წელს ხანჯლით განგმირა ქართლ-კახეთის უკანასკნელმა დედოფალმა მარიამმა, რომელსაც უზრდელმა სალდაფონმა... ტახტიდან გადმოთრევა მოუნდომა.

ეს მოწმენი უტყუარად და საიმედოდ არიან ჩაბუდებული დოკუმენტების 12-ტომიან დიდფორმატიან კრებულში: „Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею“, ტ. 1, ტფ. 1866.

მაშ, ასე: დოკ. 772, **„გენ. ლეიტ. კნორინგის 1802 წ. 26 მარტის უქვეშევრდომლესი პატაკი“** იმპერატორ ალექსანდრ I-ისადმი, გვ. 585-587 (ამ დოკუმენტზე ყურადღება მიმაქცევინა ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა და ავტორმა, უაღრესად განათლებულმა და მაძიებელმა ქალბატონმა **მედეა თავდიშვილმა,** რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ).

საქართველოს მთავარმართებელი კნორინგი იმპერატორ ალექსანდრ I-ს მოახსენებს: **საქართველოდან გენერალ-მაიორმა ლაზარევმა გასული წლის (1801 წ. — ა.ა.) 20 დეკემბერს მიპატაკა, რომ კავკასიონის მთებში მდინარეების ფცისა და დიდი ლიახვის ხეობებში მცხოვრებმა ოსურმა მოსახლეობამ, რომელიც ძველთაგანვე იმყოფება ქართველთა ქვეშევრდომობაში და პატრონებად ჰყავთ ქართველი მემკვიდრეობითი თავადი მაჩაბლები, მეფე გიორგის (გიორგი XII — ა.ა.) სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დაუმორჩილებლობა და სიშმაგე გამოიჩინა, ერთი თავადი მოკლეს და როცა ამისთვის არ დაისაჯნენ, დაიწყეს ქართულ სოფლებზე თავდასხმები, ძარცვა, მოსახლეობის ტყვედ წასხმა და გაყიდვა, მათ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის უშუალო დაქვემდებარებაში შემოსვლის შემდეგაც, მრავალი ღონისძიების მიუხედავად, არ შეუწყვეტიათ საგრძნობი ზიანის მიყენება ქართველთა მიწებისთვის. იკვეთება, რომ მათ აქეზებენ ბატონიშვილები, განსაკუთრებით იულონი (ერეკლე II-ის ძე — ა.ა.). ოსების ქმედებათა დაწვრილებით განხილვის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მივედი დასკვნამდე, რომ დროულად მომეყვანა ისინი კანონიერი ხელისუფლების მორჩილებაში. ამისთვის ვუბრძანე მე-17 ეგერთა პოლკის 2 ასეულისა და კავკასიის გრენადერთა პოლკის სამი ასეულისგან შეედგინათ რაზმი ორი მსუბუქი საველე ქვემეხითა და 50-მდე კაზაკით, პოლკოვნიკ სიმანოვიჩის მეთაურობით, მივეცი საჭირო დარიგებები. რაზმი გასული თებერვლის 19 რიცხვში გავიდა ქართულ დასახლება ცხინვალიდან და იმავე დღეს მივიდა სოფელ სვერისხევში. იქიდან სიმანოვიჩმა ქართველი თავადი მაჩაბლები და აზნაური იალღუზიძე ოსებთან გაგზავნა წერილობითი განმარტებით იმ გარემოებათა შესახებ, რამაც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჯარი აიძულა, შესულიყო მათ საცხოვრებელ ადგილებში. ჯარის მისვლით დამფრთხალი და შეშინებული ფცისა და დიდი ლიახვის ოსური სოფლების უხუცესები შეიკრიბნენ სოფელ ჯავაში. სიმანოვიჩმა მათ განუმარტა, თუ რა სასჯელს იმსახურებდნენ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო, შემდეგში კი გულმოწყალება გამოიჩინა, მოანანიებინა და გვართა უფროსები კანონიერი ხელისუფლების მორჩილებაზე დააფიცა.**

22 თებერვალს ჯარმა გზა განაგრძო, გადალახა რაროს მთის ქედი, ქეშელთის ხეობაში, სადაც თავს აფარებდნენ ამბოხებული ოსები, ისინი დააფიცეს მორჩილებაზე. გაიარეს მოგუთის ხეობა და 26 თებერვალს უკან მობრუნდნენ ჯავაში. ისინი თან ოს კერპთაყვანისმცემლებს უნერგავდნენ ოდესღაც დაკარგულ ქრისტიანულ სარწმუნოებას.

სიმანოვიჩი რუკაზე აღნიშნავდა სოფლებს, გზებს. მისი პატაკით ირკვევა, რომ ფცისა და დიდი ლიახვის ნაპირებზე მცხოვრები განმდგარ-ამბოხებულ ოსთა რაოდენობა 20 ათასამდეა, სულ არაგვისა და პატარა ლიახვის სათავეებში კი — 15 ათასამდე სული, რომ მათი საცხოვრისი შემოსაზღვრულია ჩრდილოეთიდან კავკასიონის თოვლიანი ქედით, აღმოსავლეთით სხვა ოსური დასახლებებით, მდინარეების მეჯუდასა და ქსნის ხეობაში მცხოვრებლებით, სამხრეთით — ქართული დასახელებებით, ხოლო დასავლეთით იმერეთის რაჭის პროვინციით ბოლოს დაასკვნის, რომ შეიძლება მათი ქრისტიანებად მოქცევა.

გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი იმპერატორს სთხოვს პოლკოვნიკ სიმანოვიჩის წახალისებას, რომელმაც უმოკლეს ვადაში მორჩილებაში მოიყვანა საქართველოს დამოკიდებულებისგან განმდგარი ოსები.

იმპერატორმა თხოვნა შეიწყნარა და პოლკოვნიკი სიმანოვიჩი განმდგარი ოსების მორჩილებაში მოყვანისა და წესრიგის დამყარებისთვის გაწეული სამსახურისთვის დააჯილდოვა წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ორდენით, მასთან ერთად დაჯილდოვდა კიდევ 10 კაცი („Акты..., ტ. I, გვ. 587, დოკ. 773. **„იმპერატორის 1802 წ. 23 აპრილის უუმაღლესი რესკრიპტი, გენ. ლ. კნორინგს“**).

გულახდილად თქვით, განა შეიძლება უფრო მჭევრმეტყველურად, უფრო დოკუმენტურად წარმოჩენა იმისა, თუ რას წარმოადგენდა „სამხრეთი ოსეთი“, რომელიც თურმე 1774 წელს ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად, „ერთ სახელმწიფოდ“ შეუერთდა რუსეთს? იმპერატორ ალექსანდრ I-ზე უკეთ ვინ იცოდა, თუ რა შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფოს სახით და სად იყო და რას წარმოადგენდა ეს „სამხრეთი ოსეთი“?

მართლაც „კარგი იქნებოდა ამ ყველაფრის ცოდნა“ დღევანდელი რუსეთის ხელისუფლებისთვის!

* * *

ერთიც: ბატონმა პუტინმა ისიც ბრძანა **„სასტიკად იქცეოდნენ ქართული ჯარები ოსეთში 1919 და 1920 წლებში, ეს არსობრივად იგივეა, რასაც დღეს გენოციდი ჰქვია“.**

ბატონო პრეზიდენტო, დასვით მთელი რუსული ისტორიული საზოგადოება და მოატანინეთ ამ „გენოციდის“ უტყუარი ფაქტები: ოსური მოსახლეობის ჟლეტის, საცხოვრისიდან აყრისა... არაფერი გამოგივათ!

მე კი წარმოგიდგენთ, გენოციდის ჭეშმარიტ ფაქტს, ოღონდ ოსთა მხრიდან ჩადენილს — უმკაცრესს, საზარელს, რომელმაც თვით რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ.ი. ლენინიც კი შეძრა...

XIX საუკუნის 70-იან წლებში დუხჭირი ცხოვრებით გაწამებული რაჭის ქართველობის ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში, ოსების მიწა-წყალზე, ალაგირში გადასახლდა. იქ მათ მზა სახლები შეისყიდეს, რომლებიც ვერცხლის სადნობი ქარხნის მუშებისთვის ყოფილა აშენებული, მაგრამ ქარხანა დაიხურა, მუშები წავიდნენ და სახლები გაყიდეს. კავკასიონის მიღმა გადასახლებულმა რაჭველებმა ეს სახლები კი შეისყიდეს, მაგრამ ვერც სამუშაო მიიღეს და ვერც მიწა.

გადასახლებულთა უმრავლესობა წასული იყო რაჭის სოფლებიდან: ღები, ჭიორა, გლოლა, ნაკიეთი, უწერა, გომი, შეუბანი, ონჭევი, საკაო, ბაჯისხევი, შქმერი, ღარი, ნიგავზები, ონი, ხირხონისი და სხვ.

1918 წლის დამლევისთვის ალაგირში უკვე 300-მდე ქართული ოჯახი ცხოვრობდა. თავდადებული შრომით წელში კარგად გაიმართნენ, ჰქონდათ თავიანთი ხარჯით აშენებული სკოლა, სამკითხველო, კლუბი და ეკლესია. სწავლება და წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ჰყავდათ მომღერალთა და მგალობელთა გუნდები, სცენის მოყვარულთა დასები...

მათი შედარებით უკეთესი ეკონომიური ცხოვრება მეზობელი ოსების შურს იწვევდა და მოსახდენი მოხდა: **1919 წლის 11 იანვარს მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული ოსი თავს დაესხა ალაგირს და საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. იქაურობა გვამებით იყო მოფენილი. ყველა, სამასივე ოჯახი აჰყარეს და ცარიელ-ტარიელნი თოვლიან გზას გაუყენეს. გზაშიც ბევრი დაიღუპა სიცივით, შიმშილით, ავადმყოფობით, ბანდიტებმა ქართველთა ბევრი სახლი გადაწვეს, დაიტაცეს უპატრონოდ დარჩენილი საქონელი, ჭირნახული, ქონება, მოკალათდნენ დაცლილ სახლებში...**

რუსეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ვ.ი. ლენინმა შეიტყო ალაგირელ ქართველთა გასაჭირი და სერგო ორჯონიკიძეს (ის მაშინ ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკთა მთავარი ემისარი იყო) დეპეშით უბრძანა: **„სახკომსაბჭოში მიღებული ცნობით, სამოქალაქო ომის ლტოლვილები, რომლებიც კონტრრევოლუციურ ბანდებს გამოექცნენ 1919 წელს ალაგირიდან 300-ზე მეტი ოჯახის რაოდენობით, სტანიცა არდონში და ვლადიკავკაზში იმყოფებიან მეტად გაჭირვებულ მდგომაროებაში და მთელი თავიანთი მეცადინეობის მიუხედავად ვერ მიულწევიათ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ან ახალ ადგილზე გადასვლის და მოწყობისთვის, სასწრაფოდ დააკმაყოფილეთ ლტოლვილთა კანონიერი მოთხოვნები და გაუწიეთ მათ ნამდვილი დახმარება მუდმივ საცხოვრებლად მოწყობაში“.**

მაგრამ ლენინის ბრძანება არც მაშინ და არც დღემდე არ შესრულებულა.

საქმეს ვერ უშველა 1935 წელს **ი.ბ. სტალინისადმი** დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილის და სამხედრო მინისტრის **გრიგოლ ლორთქიფანიძის** მიწერილმა ვრცელმა წერილმა **(იგი სტალინს სწერდა, რომ გასაბჭოების შემდეგ ქართველების კომპაქტური დასახლებანი რსფსრ საზღვრებში იმთავითვე თითქმის მთლიანად მოშალეს).**

ალაგირელმა ქართველებმა ვერ შეძლეს საკუთარი სახლ-კარის და კარ-მიდამოს დაბრუნება, რომლებიც ბანდიტებმა წაართვეს. საბოლოოდ მათ საქართველოში ჩამოაღწიეს, ისინი ლაგოდეხში ჩაასახლეს. იმ სოფელს გიორგეთი უწოდეს, მერე სახელი გადაერქვა და... ორჯონიკიძე ეწოდა, იმ ბოლშევიკის სახელი, რომელმაც მათთვის, უმაღლესი ბრძანების მიუხედავად, თითი თითზე არ დააკარა.

აი, ასეთია პატივცემულო ვლადიმირ ვლადიმირის ძევ, „ოსთა გენოციდის ამბავი საქართველოში“.

დიდი მორიდებით შეგახსენებთ: ტერმინი „გენოციდი“ ძალიან მოსწონს ზოგიერთ თვითნასწავლ ოს პოლიტიკოსსა და ისტორიკოსს, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის აქტებს, მაგალითად, ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსების შეიარაღებული გამოსვლების ჩახშობას, რასაც ცხადია, მსხვერპლიც მოსდევდა, ისტორიული სინამდვილის უცოდინრობით, გენოციდად ასაღებს.

ჰოდა, თვითნასწავლ ისტორიკოს-პოლიტიკოსებს, ანუ ზუსტად თუ ვიტყვით, თვალებდაელამებულ სეპარატისტებსა და დიდი რუსეთის უაღრესად წარმატებულ, საყოველთაოდ პატივცემულ პრეზიდენტს შორის, განსხვავება ხომ უნდა იყოს?!

ალეკო ასლანიშვილი

როგორ აისახება ლარის გაუფასურება სამომხმარებლო ტარიფებზე?

ლარის გაუფასურებიდან გამომდინარე, ენერგეტიკოსი **გია არაბიძე** ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ტარიფების გადახედვას არ გამორიცხავს. **„არ არის გამორიცხული, მოხდეს ტარიფების გადახედვა, თუმცა ამ ბაზრის გახსნის შემდეგ, მიმაჩნია, რომ სემეკის მიერ დავიწროვდება ის სეგმენტი, რომელშიც მან უნდა არეგულიროს ტარიფები. ანუ აქ დარჩება მოსახლეობა, მცირე ბიზნესი და ა.შ, ამიტომ როდესაც სეგმენტი დავიწროვდება და ტარიფების რეგულირება უფრო იოლი იქნება, არ მგონია, სამომხმარებლო ტარიფი მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვეს.**

პრობლემურია ენგურის წილიც. თუ მას („ენგურჰესის“ ელექტროენერგიას) პირდაპირ მოსახლეობაზე წამოიღებ და გადაანაწილებ, ამ შემთხვევაში ბუნებრივია, მოსახლეობის ტარიფი საკმაოდ კარგად იგრძნობს თავს, სამაგიეროდ გაუარესდება სხვა დიდი მომხმარებლების ტარიფი“, — განაცხადა მან bm.ge-სთან საუბრისას.

რაც შეეხება ბუნებრივ გაზს, იქიდან გამომდინარე, რომ მისი შესასყიდი ფასი აშშ დოლარშია ფიქსირებული, როგორც ენერგეტიკოსი განმარტავს, ლარის გაუფასურებამ გაზის ტარიფზე შესაძლოა, უფრო მძიმედ იმოქმედოს, თუმცა სახელმწიფოს აქვს ბერკეტები, რომ მოსახლეობას ეს პრობლემა არ შეექმნას.

„გაზს რაც შეეხება, იქ ცოტა უკეთესი სიტუაცია აქვს სახელმწიფოს, იმიტომ რომ მას შეუძლია კომპანიების მისაყიდი გაზის თანხის შემცირება, მოგების შემცირების ხარჯზე და ამით გაზის ტარიფის დაბალანსება, თორემ მძიმედ იმოქმედებს....



გაზი მთლიანად დოლარშია ნაყიდი, ამიტომ იქ სერიოზული პრობლემა შეგვექმნება და სახელმწიფოს აქვს ბერკეტი, რომ მოგების მარჟის შემცირებაზე კიდევ ერთხელ იფიქროს, რომ მოსახლეობას სამომხმარებლო ტარიფი მძიმე ტვირთად არ დააწვეს“, — აღნიშნა მან.

მოსახლეობის ტარიფთან მიმართებით მთავრობის ბერკეტებისგან განსხვავებით, გია არაბიძე აღნიშნავს, რომ კომერციული სექტორს საკუთარი პროდუქციის გაძვირება მოუწევს.

„ვინც კომერციულ გაზს ყიდულობს, ის თავის პროდუქციას გააძვირებს, მაგალითად, გაზგასამართი სადური. კომერციულ ფასს სახელმწიფო ვერაფერს მოუხერხებს. აქაც არის ერთი ვარიანტი — ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდგომ, როგორც ელექტროენერგიის, ისე გაზის ბაზარიც იხსნება. აქ მომწოდებლების კონკურენციაა შესაძლებელი. სულ ორი მომწოდებელი ჰყავს სახელმწიფოს — აზერბაიჯანის „სოკარი“ და რუსეთის „გაზპრომი“, თუმცა დარწმუნებული ვარ, სამომხმარებლო ტარიფს სერიოზულად არ შეცვლიან, თუნდაც სახელმწიფოს ხარჯზე“, — აღნიშნა მან.

BMG

ეკონომიკურმა ზრდამ ივნისში 5 პროცენტი შეადგინა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, საქართველოში ეკონომიკური ზრდა ივნისში 5 პროცენტი იყო. ამასთან, 2019 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე საშუალო ზრდა 4,9 პროცენტი იყო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის გოგიტა თოდრაძის განაცხადებით, გარდა საფინანსო სფეროსი, ზრდა შეინიშნებოდა ყველა სექტორში, განსაკუთრებით მრეწველობის, სასტუმროებისა და რესტორნების სფეროში.

გოგიტა თოდრაძის თქმით, რამდენიმეთვიანი კლების შემდეგ, ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა მშენებლობის სექტორში, რაც სამშენებლო საქმიანობის გააქტიურებას უკავშირდება.

საქსტატის მონაცემებით, ვაჭრობის სფეროში ზრდაზე დადებითად იმოქმედა ტურისტების მატებამ — წინა წელთან შედარებით, საქართველოში 472 000 მეტი ტურისტული ვიზიტი განხორციელდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 18%-ით აღემატება.

მათივე ინფორმაციით, საქონლის ექსპორტის 2019 წლის იანვარი-თებერვლის მაჩვენებლები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11,5 %-ით არის გაზრდილი.

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ შეფასებას, რომლებიც უწყებრივი სტატისტიკის საფუძველზე იანგარიშება.

◎ სამადლობელი წერილი

ჯანმრთელობა დამიბრუნეს

მინდა, გულწრფელი მადლობა გამოვხატო იმ ადამიანთა მიმართ, ვინც ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავს.

მოულოდნელად თირკმელზე პრობლემა გამიჩნდა,. მივმართე ექიმებს, დამინიშნეს მკურნალობა, მაგრამ უშედეგოდ, შემდეგ სამკურნალოდ მივედი ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში. ძირითადი მკურნალობის შემდეგ ოპერაცია გახდა საჭირო. ცნობილი პროფესორის ნოდარ უჯმაჯურიძის, ექიმ-უროლოგის ვალერი ჩიკანდარიანის წყალობით ჯანმრთელობა დამიბრუნდა. აღსანიშნაია, რომ მედპერსონალი პაციენტებს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს, განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობა.

ჯანმრთელი ცხოვრების დაბრუნებისა და ჩემზე გაწეული დიდი შრომისათვის პროფესორ ნოდარ უჯმაჯურიძეს, ექიმ-უროლოგ ვალერი ჩიკანდარიანს, რეანიმატოლოგ ნანა სალაყაიას, ანესთეზიოლოგ ზურაბ ზაბახიძეს და სამედიცინო დაწესებულების მთელ პერსონალს ვუხდი დიდ მადლობას, პაციენტებისადმი მათი ყურადღება წამალზე ძვირფასი და მნიშვნელოვანია. სწორედ მათი წყალობით დავუბრუნდი საყვარელ საქმეს, რათა ძვირფას კოლექტივთან ერთად ვიშრომო და ვიღვაწო ერთიან და დამოუკიდებელ საქართველოში.

პატივისცემით
ისლამ ალიევი.
გაზეთ „გურჯისტანის“ (საქართველო) მთავარი რედაქტორი.

გაზეთი „ბორჯომი“ 88 წლისაა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ **„ბორჯომს“** საიუბილეო თარიღს — პირველი ნომრის გამოსვლიდან 88 წლისთავს.

გხიბლავს და გიზიდავს ეს გაზეთი თავისი აქტუალურობითა და, უწინარეს ყოვლისა, მიუკერძოებლობით. იგი ერთ-ერთი პირველი და წინწაუსწრებელია საქართველოს სხვა რაიონულ გაზეთებს შორის. გსიამოვნებს მისი პოპულარობაც მკითხველებს შორის. ვუსურვებთ გაზეთსა და მის მკითხველს კვლავაც დიდ წარმატებებს საჟურნალისტო ასპარეზზე.

აქვე გვინდა მივულოცოთ დაბადების დღე გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორს, ნიჭიერ ჟურნალისტსა და მამულიშვილს **ვალერიან ლომიძეს** — 4 აგვისტოს მოღვაწეობის 50 წელი უსრულდება.

კვლავაც წარმატებები და პოპულარობა არ მოგკლებოდეთ კოლეგებო და მაღალკვალიფიციურო ჟურნალისტებო!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

„მთელმა ერმა თუ არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“!

(მესამე გვერდიდან)

ეს თუ ხელისუფლებამ არ იცის, მაშინ მას არც დაზვერვა ჰყოლია და არც კონტრდაზვერვა, ცხადია, არც სახელმწიფო ჰქონია!

იცის და ამიტომ აქიცინებს კუდს დატუქსული ეზოს ფინიასავით. დამტუქსავებიც ყველამ იცის, სადაც ბრძანდებიან.

აზრის გამოთქმისა და შეკრების უფლება უნდა ჰქონდეთ ნორმალურ ადამიანებს (გიჟებს, ინფიცირებულ ავადმყოფებს, ნარკომანებს, ბანდიტებსა და სახელმწიფოს აშკარა მტრებს — არა!), მაგრამ ვისაც როდის მოეპრიანება და სადაც მოესურვება იქ დადგეს და იქადაგოს სიბრძნე თუ პიტალო სისულელე, სახელმწიფო, თუ მართლა სახელმწიფოა, ვერ დაუშვებს. შენ რომ გახარიას გადადგომა გინდა (რადგან პედერასტებს არ ჩაგატარებინათ აღლუმი რუსთაველის გამზირზე!) და გამზირი გადაკეტე ღრიალით: „გახარია წადი“ მე მაშინ აღმაშენებლის (პლეხანოვის) გამზირს გადავკეტავ და შენზე ხმამაღლა ვიყვირებ - „გახარია მოდი!“ მესამე კაცი ვაჟა-ფშაველას გამზირს გადაკეტავს მოთხოვნით — გაიხსნას დაკეტილი პროსპექტებიო! მეოთხე, ილია ჭავჭავაძის ისედაც გადაკეტილ ქუჩას უფრო მაგრად გადაკეტავს ლოზუნგით: დაუყოვნებლივ აღკვეთეთ რუსთაველზე, ვაჟაზე და აღმაშენებელზე მომიტინგეთა ყვირილი, შევწუხდიო! აბა, მითხარით, სახელმწიფოს ემგვანება აქაურობა?

დღევანდელი ქუჩის ოპოზიცია — პარლამენტზე შეტევის ორგანიზატორები სიმართლეს უკვე ვეღარ იტყვიან (აღარ კი არა ვეღარ!). ხელისუფლებას კი ჯერ კიდევ აქვს დრო, თქვას ბოლომდე სიმართლე და სახელმწიფოებრიობის დაბრუნების შანსი გაიჩინოს. კერძოდ, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი თავის გამოსვლას იმით რომ იწყებს, თავდაპირველად პარლამენტთან გულწრფელი პროტესტის გამოსახატავად შეიკრიბნენ ახალგაზრდებიო და მერე მათი „სამართლიანი და გულწრფელი“ აღშფოთება პოლიტიკოსებმა თავიანთი მიზნების შესაბამისად გამოიყენესო, რა არის ეს?

ხელისუფლების ვაჟბატონები ახალგაზრდობას ეპირფერებიან, ჩვენ „გვაბოლებენ“ თუ მართლა ასე წარმოუდგენიათ საქმის ვითარება? სამივე შემთხვევაში მათი საქციელი სახელმწიფო ინტერესების საზიანოა და უაზრო თვითგვემის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც თანაგრძნობას არ იმსახურებს. მე რომ მკითხო, მარტო ამ ქარაქუცობისთვის გავამათრახებდი ამ ხელისუფლებას (მაგრამ არა იმ ძალების სასარგებლოდ, რომლებიც რუსთაველზე არეულობას აწყობენ!)

რა გულწრფელი აღშფოთება, რა ანტისაოკუპაციო განწყობილება!

ჩვენ არ დავიღლებით აქ დგომით და ღრიალითო, — გაიძახიან ე. წ. მიტინგის ლიდერები. უჰ, თქვენს პრინციპულობასა და ქვეყნისთვის თავდადებას რა ვუთხარი! თქვე „თავდადებულებო“, მარტო პარლამენტის წინ გამართული ღრიანცელით გაათავისუფლებთ და დაიბრუნებთ სეპარატისტულ ტერიტორიებს? ცოტა ბელინსკისა და ტაბიძის ქუჩებისკენაც გადაიჩოჩეთ, იქნებ ლესელიძის ქუჩაზეც განახორციელოთ ცოტა რამ აქტივობა, ჰა? ვაი, თქვენს პატრონს!

ეს ახალგაზრდები და ძველგაზრდები ვაიპოლიტიკანებისგან გაბრიყვებული საცოდავი ხალხია. მათ არც ის იციან, გავრილოვი ვინ არის, ოკუპანტია თუ სულაც ჩვენი მეგობარი, არც ის იციან, თუ რა რანგის შეურაცხყოფაა იმ სავარძელში, სადაც ცოტა ხნის წინ ირაკლი კობახიძე იჯდა, რუსეთის დუმის წევრის უკანალის ჩადება, უცხოელი პატრონების ამ ქართველ პოლიტიკურ შნირებს რომ არ დაერაზმათ და არ მოედენათ პარლამენტის შენობის წინ, დღესაც თავიანთ „პრიტონებში“ იქნებოდნენ საკაიფოდ შემძვრალნი.

აი, ამას კი არ ამბობს ხელისუფლება, მათ შორის არც შსს-ს მართლაც ჭკუითა და ღირსებით გამორჩეული მინისტრი. მეტიც, ერთგვარად ბოდიშსაც კი უხდის იმ „ბავშვებს“, რომლებიც ღამის ორ საათზე პარლამენტის შენობაში შეჭრასა და სახელმწიფო გადატრიალებას ლამობდნენ!

არა! ეს არ არის სახელმწიფო აზროვნება და მოქმედება. სახელმწიფოს ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას, მათ შორის შს მინისტრის, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის გუნება-განწყობილებაზე მაღლაც, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოში ვცხოვრობთ!

დიდი გერმანელი მოაზროვნის ჰანს მაგნუს ენცენბერგერის მოსაზრება გამახსენდა ახლა, რომელიც პირველი წაკითხვისას ძალიან არ მომეწონა. აი, რას ამბობს იგი: „საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. მას ჩვენზე ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ქართველი ერი სახელმწიფოებრივი ერი არ არის, იგი უფრო კულტურის ერია...“ მერე, რომ დავფიქრდი...

ახ, ნეტავი იმ ჭკვიანი გერმანელის მოსაზრების პირველი ნაწილი მართალი არ გამოდგეს, მაგრამ ჩვენს დღევანდელ ყოფას რომ ვუცქერი, ამის იმედი არ მაქვს.

ზურაბ ცუცქირიძე

P.S. **ჩემი აზრით, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების ყველა წევრს არ ეხება ჩემი ნათქვამი. მათ შორის, პარლამენტის რამდენიმე წევრს, რომლებმაც კარგად იციან სახელმწიფოს არსიცა და ფუნქციაც, მაგრამ ორიოდე მართალი კაცი რას გახდება. „მთელმა ერმა თუ არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას!“ — მეფე გიორგი პირველს ათქმევინა ეს სიტყვები კონსტანტინე გამსახურდიამ.**

ზ. ც.

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს

შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

- **ინჟინერი — 1 საშტატო ერთეული (ბორშემცვლელი და ფხვნილოვანი მასალების ლაბორატორია)**
- **სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის ანალიზისა და სარედაქციო ჯგუფის უფროსი-მკვლევარი მთავარის სპეციალისტი — 1 საშტატო ერთეული**

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე — ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2019 წლის 26 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776

რაზომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

875

ძეგლის წარწერა ზოგჯერ ძეგნის განცხადებასავით ჟღერს.

876

კიდევ ერთხელ დავიწყოთ თავიდან! ოღონდ ამის წინ როგორ დავამთავროთ?

877

ის ყოველთვის ლომი ეგონა, მაგრამ ოთხით მოსიარულე რომ დაინახა, მიხვდა, ლომი არ ყოფილაო.

878

ცხოვრების დონე იზრდება, ოსპის შეჭამანდზე დღეს ვინ გაჰყიდის თავის პირმშოობას?

879

ადამიანი ყველაფრის საზომია, მაგრამ როგორი გასაზომია – ის ხომ ხან გოლიათია, ხანაც ჯუჯა!

880

მსხვერპლი ყოველთვის მონაწილეობს დანაშაულში და ყოველთვის ნეგატიურად.

881

სამწუხაროა, რომ აბელი და კაენი სიამის ტყუპები არ იყვნენ.

882

პიზის კოშკი ტურისტების თვალთახედვით არის გადახრილი.

883

ჯალათს ჩვეულებრივ ნიღაბი აქვს აფარებული. სამართლიანობისა.

884

ოქროს კერპი დიდი ხანია მეწველ ძროხად აქციეს.

885

ღმერთს – ღვთისა, კეისარს – კეისრისაო! საჭირო იყო გაყოფის დროს დასწრება!

886

ხან ტყუილი ისე გადაეჭდობა ხოლმე სიმართლეს, რომ იმათ შუა დარჩენილ ღრეჭოში მძიმეა ცხოვრება.

887

სატირიკოსებმა თავიანთი ენა ფილოსოფიურ ქვაზე უნდა ლესონ.

888

გევრის დამტევნელი სიტყვები ხან იმდენად ცარიელია, რომ შიგ უამრავი ხალხის გამომწყვდევა შეიძლება.

889

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142-147, 151, 153

დონ-კიხოტებო, ქარის წისქვილებს მხოლოდ ზურგის ქარის დროს შეუტიეთ!

890

ათასი სოდომი რომ აგვეგო, ათი ათასი მართალი კაცი გვეყოლებოდა.

891

ძნელია თითებშუა იმათი ცქერა, ვინც თვალებზე თითებს გაფარებს.

892

მუშტი მავანსა და მავანს მოსარტყმელად რომ დაეღირა, ერთი თითი გვერდზე გაუხტა. „მე მხოლოდ სალოკი ვარო!“ – დაიკნავლა.

893

აი, წამებული ეს არის – ჯვარზე მიულურსმავი ჰკიდია!

894

თავზე თავის მსხვერპლთა ნაცარი დაიყარა.

895

რა ფასი აქვს ალიკაპს, რომლის შეჭმაც შეიძლება?

896

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

ცრუნინასწარმეტყველნი თვითონ ასხამენ ხორცს თავიანთ ნაწინასწარმეტყველევს.

897

ვინც აზრის გეში აიღო, ძაღლებს ნუღა დაასუნინებს.

898

ვაი, შე, საწყალო! თან ამბობ: „ჩემს მერე ქვეყანა წყალსამც წაუღიაო“. და თან უნიტაზში წყალს უშვებ.

899

მწამს პროგრესი: აუცილებლად გამოიგონებენ ჯერ კიდევ თავში მოუსვლელი „აზრების საკითხავ მანქანებს“.

900

იუმორის მაქსიმალურ გრძნობას მხოლოდ მიცვალებულნი ფლობენ: ისინი ყოველივეს დასცინიან.

901

ძაღლები ხანდახან ჯაჭვებს კუდებივით აქნევენ.

902

სამოთხეშიც ალბათ უკეთესი ცვლილებები დაიწყო.

903

მტრის საფლავის ყვავილებს დამათრობელი სუნი აქვს.

904

ლაჩარიც სიძულვილით ქშინავს, და თანაც როგორ!

905

ყველაზე ძნელი პაპანაქების დაწვაა.

906

არ მიმაჩნია, რომ ერთი სულის მფლობელი „წვრილი მესაკუთრეა“.

907

ვინ იცის, რას აღმოაჩენდა კოლუმბი, ამერიკას რომ არ წასწყდომოდა.

908

დროულად გაითვალისწინე, ვისი გამოჩენის დროს გააქნია ეშმაკმა კუდი.

909

შესაძლებელი რომ ყოფილიყო დაბადება მხოლოდ მტრების სიკვდილის შემდგომ!

910

სილამაზე უსარგებლო რამ არის, ის თუნდაც იმისთვის არსებობს, რომ სძულდეთ.

911

როცა წყალი ყელამდე მოგადგება, თავი მაღლა ასწი!

912

ვიღა არ მოუტყუებია ცხოვრებას? ისიც კი, ვისაც არაფრის თავი არა ჰქონია.

913

სატანა სასტიკი უნდა იყოს. მახარებლებმა ძალიან ცოტა დრო მისცეს.

914

ზოგიერთი გვარის გასწვრივ დასმული ჯვარი ბევრს მიმატების ნიშანი ჰგონია.

915

მხოლოდ კონიუნქტურულ ნაწარმოებებს წერს – ცხოვრებაზე.

916

კანონის არცოდნა პასუხისმგებლობისგან არ გვათავისუფლებს.

917

უხეიროდ დაჭრილ დესპოტს სხვისი სისხლის ზღვა სდის.

918

კანი გაიძრო, ყვირილით კი იმ დროს ისე ყვიროდა, ვითომ ძალით აძრობდნენ.

919

ნამდვილი მტერი არასოდეს არ მიგაგდებს.

920

შეიძლება თუ არა ღვთისმსახურების გაგრძელება, უკეთუ ღვთაება პირს იბრუნებს?

921

ქონდრისპაცებთან ურთიერთობა ხერხემალს ამრუდებს.

922

როცა პირი მოკუმულია, საკითხი მაშინაც ღიად რჩება.

923

ფრთების გასწორება მომიხდა, ვინაიდან მთის მწვერვალიდან უპარაშუტოდ გადმომაგდეს.

924

მე სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრე ვარ, მაგრამ ასევე სიკვდილით დაჯილდოების წინააღმდეგი ვარ.

(გაგრძელება იქნება)

საქართველო რუსეთის მიერ აღმართული ახალი რკინის ფარდის მიღმაა

ამერიკის არმიის გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ბენ ჰოჯესი ამბობს, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს შავი ზღვის რგიონზე სრული დომინირების მოსაპოვებლად და ამისთვის ახალი რკინის ფარდა აღმართა. საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ამ ფარდის მიღმა არიან დარჩენილი.

ამასთან, სამვარსკვლავიანი გენერალი აცხადებს, რომ ნატოსა და თურქეთს შორის ურთიერთობის დაძაბვის ფონზე, საქართველოს შავი ზღვის უსაფრთხოებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. **გენერალ ჰოჯესს „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი** ესაუბრა.

— თქვენ ამბობთ, რომ რუსეთმა შავი ზღვის რეგიონში ახალი რკინის ფარდა აღმართა. რას გულისხმობთ ამაში?

— ვფიქრობ, რუსეთის ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ შავი ზღვის რეგიონში უპირობო დომინანტი იყოს. ეს იმის გამო, რომ შავი ზღვა არის ხმელთაშუა ზღვის და ინდოეთის ოკეანის გაგრძელება. რუსეთს ამ თბილი წყლებიდან მსოფლიო ოკეანეებზე წვდომა სჭრდება. ხმელთაშუაზღვისპირეთში და ახლო აღმოსავლეთში გავლენის გასაზრდელად, შავი ზღვის რეგიონი რუსეთისთვის ცენტრალური საზღვაო ლოკაციაა.

იმის გამო, რომ ისინი ნატოს ძალას პატივს სცემენ და ნატოსთან სამხედრო კონფლიქტი არ უნდათ, ალიანსის ზოგიერთ წევრზე, მაგალითად, რუმინეთზე, ბულგარეთზე და თურქეთზე ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებენ. ამაში ასევე შედის ენერგო-ბერკეტები. საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ალიანსის წევრები არ არიან და მათზე მე-5 მუხლი, კოლექტიური თავდაცვის მექანიზმი, არ ვრცელდება.

რუსეთის ფედერაციას მიაჩნია, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციაზე, მოლდოვაში, ეგრეთ წოდებული, 1500 სამშვიდობო პერსონალის განლაგებაზე, ყირიმის ანექსიაზე, დონბასში ათასობით ჯარისკაცის გაგზავნაზე პასუხს არავინ მოსთხოვს. ამ ყველაფრით ისინი ეკონომიკურ ზონას და საკუთარ ტერიტორიულ წყლებს აფართოებენ.

ახალი რკინის ფარდის იდეაც აქედან მოდის. ეს ქვეყნები ფარდის ერთ მხარეს რჩება, სადაც ისინი რუსეთის კინეტიკურ ძალას პირდაპირ გრძნობენ. ფარდის მეორე მხარეს კი ნატოა. ვფიქრობ, ისინი (რუსეთი) ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ შავ ზღვაში თავისუფალი ნავიგაცია შეზღუდონ.

— რის გაკეთება შეუძლია საქართველოს იმისთვის, რომ რუსეთისგან მომავალ ამ ზეწოლას გაუძლოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს?

— რუსეთს, უდავოდ, არ სურს საქართველო კომერციული ან ლოჯისტიკური ცენტრი და ევრაზიასა და ევროპას შორის დამაკავშირებელი ხიდი გახდეს. პირველ რიგში, ეს ზოგიერთი ბიზნესის რუსეთიდან სხვაგან გადასვლას უკავშირდება. ასევე, რომ დავფიქრდეთ უფრო გრელვადიან მიზნებზე... საქართველო, სადაც გერმანული, ფრანგული, იტალიური, ამერიკული ბიზნესები იქნება წარმოდგენილი, გაცილებით სტაბილური ქვეყანა იქნება. საზღვაო პორტი (ანაკლია) ამის შესაძლებლობას გააჩენს. რუსებს ეს, ცხადია, არ სურთ.

— შავ ზღვაში თურქეთი ნატოსთვის არასაიმედო პარტნიორად ყალიბდება. რუსეთისგან S-400 სარაკეტო სისტემის ყიდვა ამის მიმანიშნებელი სიგნალია. ამ ფონზე, თქვენი აზრით, საქართველოს რამე როლის შესრულება შეუძლია შავი ზღვის უსაფრთხოების გასაძლიერებლად?

— მე მზად არ ვარ, რათა თურქეთზე ვთქვა, რომ ის არ არის საიმედო პარტნიორი თუ არა. ვფიქრობ, აუცილებელია პრეზიდენტი ერდოღანი, რომელიც ქვეყნის არჩეული პრეზიდენტი და ნატოს მოკავშირე ქვეყნის პირველი პირია, ამ კონტექსტში თურქეთის რესპუბლიკისგან გავაცალკეოთ. ვფიქრობ, მისი დრო იწურება.

ამ ეტაპზე სამართლიანია, თურქეთს პასუხი ვაგებინოთ S-400 სარაკეტო სისტემის რუსეთისგან ყიდვაზე, მაგრამ ასევე ვფიქრობ, ამერიკა-თურქეთის და ნატო-თურქეთის ურთიერთობაში მალე ახალი ეტაპი დაიწყება. ის ურთიერთობა, რომელიც თურქეთთან დღემდე გვქონდა, სავარაუდოდ, ამ ზაფხულს მოკვდება. მაგრამ, მოდის ახალი თურქეთი, რომელსაც ქვეყნის შიგნით ახლა მიმდინარე მოვლენები შექმნის.

თურქეთში ბოლო ვიზიტის დროს, მქონდა პატივი, გამეცნო საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში. მან შემახსენა, რომ ქართული ვალუტა — ლარი — თურქულ ლირაზეა დამოკიდებული. თუ ამერიკამ რაიმე ისეთი გააკეთა, რაც თურქულ ლირას ზიანს მიაყენებს, ამით ლარს და საქართველოს ეკონომიკას საფრთხე შეექმნება.

თურქეთს რეგიონში სტატუს-კვოს შენარჩუნება სურს. შავ ზღვაში ნატოს ძლიერი საზღვაო წარმომადგენლობა არ ჰყავს. იქ რამდენიმე თურქული გემია და ეს არა იმიტომ, რომ თურქეთს საზღვაო ძალები არ ჰყავს, პირიქით, მათ არაჩვეულებრივი საზღვაო ძალები ჰყავთ, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის რეაქციას ითვალისწინებენ.

ვფიქრობ, საქართველოს ამ შემთხვევაში დიდი როლი აქვს. საქართველოს დიდი საზღვაო ძალები არ სჭირდება, მაგრამ სჭირდება უპილოტო სისტემები, მცირე ზომის მოქნილი შესაძლებლობები, რომლებიც საქართველოს დაზვერვის სამსახურებს ნათელ სურათს შეუქმნის იმაზე, თუ რას აკეთებს შავ ზღვაში რუსეთი. ამ მხრივ საქართველოს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია (შავი ზღვის უსაფრთხოებაში).



გალელ ქართველებს გვარის აფხაზურად გადაკეთებას სთავაზობენ

რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, ძირითადად, გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს (მეგრელებს), **რომლებიც აფხაზურ გვარს მიიღებენ, დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. მოქალაქეობას და ახალ ე.წ. პასპორტს სთავაზობს და ამ პროცესს მათთვის ძირძველი აფხაზური გვარების დაბრუნებას უწოდებს.**

რადიო „თავისუფლების“ გალელი რესპონდენტი, რომელიც გვარად ეხვაიაა, ამბობს, რომ ზოგიერთი ამ წინადადებას თანხმდება მხოლოდ იმიტომ, რომ ე.წ. აფხაზური პასპორტი მიიღოს, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის შედარებით უკეთეს უფლებრივ მდგომარეობას უზრუნველყოფს. **„მეც შემომთავაზეს ჩემი გვარის ემხვარად გადაკეთება. ვუთხარი, რომ არ გავაკეთებ იმას, რაც არ შეშვენის ჩემს შთამომავლობას. მე ამას არასდროს გავაკეთებ. მაგრამ არაერთია, ვინც ეს გააკეთა“,** — გვითხრა გალში მცხოვრებმა ქალმა.

ოკუპირებულ გალში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, „მურზაყანელი აფხაზების საბჭოს“ მტკიცებით, გალის რაიონის 400-ზე მეტ მცხოვრებს უკვე მიეცა შესაძლებლობა, დაებრუნებინა აფხაზური გვარი. სააგენტო „აფსნიპრესი“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ედიშერ ზუხბაზე დაყრდნობით წერს, რომ ორგანიზაციის დაარსებიდან ხუთ წელიწადში საბჭოს აფხაზური გვარების დასაბრუნებლად მიმართა 900-მდე ადამიანმა. ზუხბას განცხადებით, საბჭო დაინტერესებულია **„აფხაზეთის შიდა ცხოვრებაში გალის რაიონის მცხოვრებთა უსწრაფესი ინტეგრაციით და მათთვის აფხაზური გვარების აღდგენით“.**

სააგენტოს სტატიაში აფხაზური წარმომავლობის გვარებად დასახელებულია **ანჩაბაძე, აძინბაია, აქიშბაია, ბუთბაია, ინალიშვილი, ქეცბაია, კაკუბავა, ეზუგბაია, ყოლბაია** და კიდევ ათზე მეტი გვარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოხუმელი ვახტანგ ყოლბაია გვეუბნება, რომ აფხაზების მხრიდან ამ თემის წამოწევა სიახლე არ არის და გვარების წარმომავლობის საკითხი აქტუალური იყო აფხაზეთში ომის დაწყებამდეც: **„ყოველთვის იყო დავა გვარებზე — ზუხბაია, ბუთბაია, ქეცბაია. სხვათა შორის, ყოლბაია მაშინ ნაკლებად იყო მოხსენიებული. აფხაზები თვლიდნენ, რომ ეს აფხაზური გვარებია, ქართველები კი, აბსოლუტურად დასაბუთებულად, რომ — ქართული“.**

ვახტანგ ყოლბაიას განცხადებითვე, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდანაც იყო შემთხვევები, როცა ქართველები გვარს იცვლიდნენ, რადგან აფხაზებს გარკვეული პრივილეგიები ჰქონდათ. მაგალითად, არ მიჰყავდათ ჯარში და მარტივად ხვდებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

ასეთივე ფაქტებს იხსენებს გაგრელი ოთარ აძინბაია: **„რატომ არის შერვაშიძე, ქავთარაძე, კირთაძე აფხაზი? ძე ხომ ქართული დაბოლოებაა! თუ ჩაეწერებოდნენ აფხაზად, ჯარში არ წაიყვანდნენ. ამიტომ ჩაიწერეს და მერე დარჩა“.**

ოთარ აძინბაია ამჟამად ფოთის ერთ-ერთი სკოლის დირექტორია და ქართულ ენას ასწავლის. გვეუბნება, რომ მისი გვარი აფხაზური წარმომავლობისაა და მისი შეცვლა არასდროს უფიქრია. აფხაზური ენის კარგად მცოდნეს აქტიური ურთიერთობა აქვს ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრებ მეგობრებთან და ნათესავებთან. ოთარ აძინბაია მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია არა გვარის წარმომავლობა, არამედ ის, რომ ყველანი საქართველოში ვცხოვრობთ.

„ახლაც არის თითო-ოროლა შემთხვევა, როცა ადამიანმა მოაშორა გვარს ია დაბოლოება და აფხაზი გახდა. აფხაზებს უნდათ, რომ ეს მასობრივად იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის“, — ამბობს გაგრელი ოთარ აძინბაია.

მისი შეფასებით, აფხაზებმა უკვე კარგად დაინახეს პრობლემა, რომ უმცირესობაში რჩებიან და აფხაზეთში მკვიდრდებიან უცხო ქვეყნების მოქალაქეები, მათ შორის რუსები, ამიტომ, ასეთ ვითარებაში ურჩევნიათ მონათესავე ქართველებმა, კერძოდ, მეგრელებმა მიიღონ აფხაზური გვარები და ასე გაზარდონ ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები აფხაზების რაოდენობა.

თამარ ზანთარაია

◎ კოსმოსის საიდუმლოებანი

უცხოპლანეტელთა საიდუმლო ბაზა



მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში კაცობრიობამ მთვარის დაპყრობის პირველი წარმატებული ცდები გააკეთა. ჯერ იყო და დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირზე პირველი „საბჭოური ტრაქტორი“ გადასხეს, ამერიკელმა ასტრონავტებმა კი მთვარეზე „გაისეირნეს“. მაგრამ მერე სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევების სამსახურებმა მთვარისადმი ინტერესი ერთიანად, ლამის მყისიერად დაკარგეს, რის მიზეზად მისი კვლევის პროგრამების სიძვირე მოიტანეს. მაგრამ, მკვლევარები დღემდე კითხულობენ — განა არ შეეძლო ორ ზესახელმწიფოს თავიანთი ძალისხმევის გაერთიანება და პროგრამა „სოიუზ“ — „აპოლონის“ მსგავსი პროექტი განეხორციელებინათ? რატომაა, რომ რუსეთიც და აშშ-ც ამჟამად მარსის ათვისების პროგრამებს ამუშავებენ, რაც გაცილებით ძვირი დაჯდება, კოსმოსში უახლოეს მეზობელ მთვარეს კი თითქოსდა არც იმჩნევენ? ამის თაობაზე არაერთი ვერსია არსებობს, თუმცა ყოველივეს გასაგებად ახსნას მაინც ვერავინ ახერხებს.

1969 წლის 20 ივლისს ამერიკული კოსმოსური ხომალდიდან „აპოლონ-11“-დან მთვარეზე ორი ასტრონავტი **ნილ არმსტრონგი** და **ედვინ ოლდრინი** გადავიდა. კოსმოსური კვლევების სააგენტოს ჰიუსტონის ცენტრთან მათი საუბარი მოგვიანებით დირექტორმა **კრისტოფერ კრაფტმა** გაასაჯაროვა. არსტრონავტები და ოლდრინი მთვარიდან გადმოსცემდნენ:

ედვინ ოლდრინი: — ეს უზარმაზარი რაღაცეებია. არა, არა, არა... ეს არ არის ოპტიკური ილუზია! ამაში არავითარი ეჭვი არ არის! **ჰიუსტონი:** — რაო, რა ხდება, რაშია საქმე? რა ჯანდაბა ხდება მანდ, რა ამბავია? **ნილ არმსტრონგი:** — აქ რაღაც კოსმოსური ხომალდებია. ისინი კრატერის მეორე მხარეს ჩამწკრივებულები არიან! **ჰიუსტონი:** — შეგიძლიათ, მათ ფოტო გადაუღოთ? **ედვინ ოლდრინი:** — მეტი ფირი აღარა მაქვს. „თეფშმა“, თუ რა ჰქვია ამ რაღაცას, სამჯერ „გაისროლა“ და ფირი გაფუჭდა... **ჰიუსტონი:** — სასწრაფოდ აღადგინეთ კონტროლი! ისინი თქვენ წინ არიან? „თეფშებიდან“ რაიმე ხმა გამოდის? **ნილ არმსტრონგი:** — ისინი ჩვენზე ადრე ჩამოვიდნენ აქ და თვალყურს გვადევნებენ!“

როგორია, ჰა?! მაგრამ, საქმე ისაა, რომ ბოლო წლებია სულ უფრო ხშირად ჩნდება სკანდალური პუბლიკაციები იმის თაობაზე, რომ „აპოლონ-11“-ის მისია მთვარეზე საერთოდ არ ყოფილა და თითქოსდა მთელი მათი მოგზაურობა ჰოლივუდის პავილიონში სახელოვანმა რეჟისორმა **ოლივერ სთოუნმა** გადაიღო. ნასამ კი ჯერ ფოტოფირების, შემდეგ კი სულაც მთელი საუბრის ჩანაწერების დაკარგვა მოიმიზეზა, რომლებზეც ადამიანის მთვარეზე პირველი გადასვლა იყო აღბეჭდილი. მკვლევარები არც იმას გამორიცხავენ, რომ **ჭორები მთვარეზე ადამიანის გაფრენის ფალფისიცირების შესახებ სულაც თავად ამერიკის კოსმოსური კვლევის სააგენტოს გავრცელებული იყოს, რათა კაცობრიობას დაუმალოს ის, სინამდვილეში თუ რა ხდება მთვარეზე, ვინ არის იქ „მდგომარეობის ბატონი“ და ვინ გამოაბუნძულა იქიდან დაუპატიჟებელი სტუმრები.**

ისე, კაცმა რომ თქვას, თავად მთვარესა და მის მახლობლად უცნაური მოვლენების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოყოლებულია ცნობილი. მაგალითად, 1064 წლის ჟამთაღწერაში ლაპარაკია ძალზე კაშკაშა ვარსკვლავზე, რომელიც მთვარის წრეში რამდენიმე დღეში გაჩნდა. 1866 წელს ასტრონომებმა დაინახეს, თუ როგორ შეიცვალა მოულოდნელად მთვარის ერთ-ერთმა უდიდესმა კრატერმა თავისი მოხაზულობა. 1874 წელს ასტრონომი **შაფარიკი** მთვარეზე რაღაც მანათობელ საგანს აკვირდებოდა, რომელიც შემდეგ კოსმოსის სივრცეში უჩინარდება. ნასას ყოფილმა თანამშრომელმა **რიჩარდ ჰოუგლენდმა** 2007 წელს სენსაციურად განაცხადა, რომ შეძლო ხელთ ეგდო მთვარის ზედაპირის თავზე „აპლონ-10“-სა და „აპოლონ-16“-ის ფრენისას გადაღებული ფოტოები, რომლებზეც გამჭვირვალე თაღქვეშ მოქცეული ქალაქი ჩანს, რომელიც დედამიწიდან ხილულ მხარეს კრიზისების ზღვის რაიონში მდებარეობს. **შეიძლება მათზე სხვადასხვა ფორმის ნაგებობების, ხიდების, გოდოლების და დაღმავალი კიბეების გარჩევა შეიძლება. ზოგიერთ ადგილას კი გამჭვირვალე თაღი დაზიანებული იყო.**

ვინ და როდის ააგო ეს ქალაქი? და საერთოდაც, რას წარმოადგენს თავად მთვარე? ამის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, **მთვარე კოსმოსიდან მოსულთა ნედლეულის ბაზას წარმოადგენს, სადაც ისინი სასარგებლო ნამარხებს იღებენ. თანაც იქაურ იდუმალ მოვლენათა პიკი იმ დროზე მოდის, როცა იქ კოსმოსურ სატვირთო ხომალდთა მორიგი რაზმი ჩადის ნედლეულის წასაღებად. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა დედამიწაზე გამოუცნობ მფრინავ ობიექტთა აქტივობაც.** მთვარის გრუნტის გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მთვარე არა მხოლოდ დედამიწაზე, არამედ მთელ მზის სისტემაზე უფრო ადრეული წარმოშობისაა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დედამიწის ასაკი 4,54 მილიარდი წელია, ხოლო მთვარის ქანების დადგენილი ასაკი 5,3 მილიარდი, ხოლო ამ ქანებზე მტვრის ასაკი კიდევ უფრო მეტია და 7,3 მილიარდ წელს უდრის! ასევე **გამორიცხული არ არის, რომ მთვარე — ესაა ღია კოსმოსში მოგზაური კოსმოსური სადგური, რომელიც რაღაც მიზეზთა გამო მწყობრიდან გამოვიდა და „ნავსაყუდელი“ დედამიწის თანამგზავრობაში იპოვა.**

მკვლევარები არც იმ ჰიპოთეზის გამორიცხავენ, რომ მთვარე დედამიწას საგანგებოდ „დაუყენეს“, რათა ადამიანებზე კონტროლი განახორციელონ. ამ ჰიპოთეზას მთვარის ორბიტა ამაგრებს, რომელსაც იდეალური წრის ფორმა აქვს, რაც სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება: **ჯერ კიდევ 10-11 ათასი წლის წინათ დედამიწას თანამგზავრი არ ჰყავდა. ბოლივიის ქალაქ ტიუანაკოს მახლობლად ტაძარ კალასასიის შიდა ეზოში მიგნებულ სიმბოლურ გამოსახულებებს თუ გავითვალისწინებთ, არსებობს დედამიწის ორბიტაზე მთვარის შემოსვლის სავსებით ზუსტი თარიღი — ესაა ჩ.წ.ა-მდე დაახლოებით 11,5-13 ათასი წელი.**

არც ისაა გამორიცხული, რომ ყველა უცხოპლანეტური მექანიზმი და მფრინავი აპარატი ამჟამად ავტომატურ რეჟიმში მუშაობს, ხოლო მათი პატრონები სადგურიდან დიდი ხნის წასულები არიან. **მთვარის ხელოვნური წარმოშობის ვერსიას მისი სიმკვრივეც ამაგრებს. ესაა 3,34 გრამი ერთ კუბურ სანტიმეტრზე (შედარებისთვის დედამიწის სიმკვრივე 5,52 გრამია). ეს გარემოება მეცნიერებს აფიქრებს, რომ მთვარე შიგნით ცარიელია, რაც ბუნებრივი თანამგზავრისთვის წარმოუდგენელი ამბავია.** 1969 წელს „აპოლონ-12“-ის ეკიპაჟმა მთვარეზე მოდული გადაუშვა, რომელმაც მთვარის მიწისძვრა გამოიწვია, ხოლო გუგუნი მთელი ერთი საათის მანძილზე გაისმოდა. ექსპერიმენტი „აპოლონ-13“-ის ეკიპაჟმაც გაიმეორა, რომელმაც დარტყმის ძალა გაზარდა და ეფექტიც უფრო ხანგრძლივი იყო — 40 კილომეტრის რადიუსში მთვარე 3 საათი და 20 წუთის განმავლობაში ვიბრირებდა. ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ **მთვარის ბირთვი ან ძალიან მჩატეა, ანდა სულაც არ არსებობს.** ასევე დადგინდა, რომ მის შიგნეთში 70 კილომეტრის სისქის ლითონის ნაჭუჭია. კომპიუტერული ანალიზით გაირკვა, რომ იგი რკინისგან, ნიკელისგან, ბერილიუმისგან, ვოლფრამისგან და სხვა ლითონებისგან შედგება. ამდენად, მის ხელოვნურად წარმოშობაში მკვლევარებს ეჭვი არ ეპარებათ.

დაწვით თქვენი სიბრაზე!

თურმე, სიბრაზის დაწვა შესაძლებელი ყოფილა. ცნობილია, რომ აგრესიული ადამიანი სიბრაზისგან იმაზე მეტად იტანჯება, ვიდრე ის, ვისზეც მისი გაბრაზებაა მიმართული. ფსიქოლოგებმა კი უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლების ეფექტიან ხერხს მიაგნეს: საამისოდ საჭირო ყოფილა ამ ცუდი ემოციების ქაღალდის ფურცელზე დაწერა და დაწვა.

საქმე ისაა, რომ ქაღალდზე დაწერილს ადამიანები როგორც მატერიალურ ობიექტს ისე აღიქვამენ და, ამდენად, მისი განადგურებით მასთან დაკავშირებულ სხვა ყველაფერსაც თავიდან იცილებენ.

ხელი ფანჯრიდან

უძველესი გადმოცემით, სნეული ბუდა თეთრი ლოტოსის ყვავილის ცქერამ განკურნა. ძველინდურ მედიცინაში კი დღის თუ ღამის გარკვეულ საათებში ყვავილებით ტკბობა ზოგიერთი ავადმყოფობის მკურნალობის ხერხი იყო.

ფსიქოსომატურ სნეულებათა პროფილაქტიკისთვის და არა მარტო ამისთვის, სილამაზის ცქერას თანამედროვე მედიცინაშიც იყენებენ. გასაოცარი შედეგი გამოიღო პენსილვანიის (აშშ) ერთ-ერთ საავადმყოფოში ჩატარებულმა გამოკვლევამ. აღმოჩნდა, რომ ნაღვლის ბუშტიდან კენჭების ამოკვეთის ოპერაციის შემდეგ აღდგენით პროცესზე დიდად მოქმედებდა... ხედი, რომელიც პალატის ფანჯრიდან იშლებოდა.

იმ პალატებში მწოლიარე პაციენტებს, რომელთა ფანჯრები მეზობელი სახლის კედელს უყურებდნენ, მათზე მეტი სარეაბილიტაციო დრო სჭირდებოდათ, ვიდრე ვისი ფანჯრებიდანაც ხეები ჩანდა. ამ უკანასკნელებს ტკივილგამაყუჩებელი წამლებიც ნაკლები სჭირდებოდათ, ოპერაციის შემდგომ გართულებებსაც ნაკლებად უჩიოდნენ და სახლშიც უფრო ადრე ეწერებოდნენ.

დაჯექი, თითო დავკრათ, ბებერო!

ცოლ-ქმრობის ხანგრძლივობაზე გარკვეულწილად მოქმედებს ალკოჰოლისადმი დამოკიდებულება.

მეცნიერებმა შეისწავლეს 1500 ცოლქმრული წყვილის ურთიერთდამოკიდებულება და გამოიტანეს დასკვნა, რომ ის წყვილები, რომლებიც ალკოჰოლს ხანდახან ერთად მიირთმევენ, ხშირად არიან საოჯახო ურთიერთობით კმაყოფილი და ერთმანეთის მიმართ იშვიათად განიცდიან გაღიზიანებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე დამოკიდებულებაა იმ ოჯახებში, სადაც ალკოჰოლის მოხმარებაზე ცოლ-ქმარი უარს ამბობენ.

ხახვი - დამცველი

დადგინდა, რომ ხახვი კიბოსგან იცავს. სამედიცინო მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი, ვინც ყოველდღიურად ხახვის ნებისმიერ სახეობას მოიხმარენ, კორექტალური კიბოთი 80 პროცენტით ნაკლებად ავადდებოდნენ იმათთან შედარებით, ვინც ხახვის იშვიათად ჭამდა.

აღმოჩნდა, რომ დადებითი ეფექტის მისაღებად საკმარისია დღეში 50 გრამი ხახვის მიღება — ეს კი პატარა ბოლქვის ნახევარია.

წვნიანის ეფექტი

თხევადი საკვები ხელს უწყობს გახდომას. ასეთი საჭმელი მალევე იწვევს დანაყრების შეგრძნებას, თანაც სისხლში გლუკოზისა და ინსულინის ოდენობას ამცირებს.

თხევად საკვებზე გადასვლა შეიძლება პრობლემის გადაწყვეტის გზა გახდეს ყველაზე რთულ შემთხვევებშიც კი, მაგალითად, მე-2 ტიპის დიაბეტის დროს, როცა ჭარბი წონის დაგდება ძალზე რთულია.

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

ევროპასკეტი 2021

საზეიმო ღონისძიება ლისის ტბაზე

ლისის ტბაზე საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელიც ევროპის 2021 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოპოვებას მიეძღვნა. ღონისძიების ფარგლებში ბავშვებს შორის ჩატარდა ტურნირი 3X3 კალათბურთში, რის შემდეგ სტუმრებმა სპეციალურად მოწყობილ სივრცეში გადაინაცვლეს. ტურნირის მონაწილეები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო პრიზებით. საღამო მუსიკალურად გააფორმა ჯგუფმა „ნიუვანი“.

ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, თბილისის მერი კახა კალაძე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები, ეროვნული ნაკრების წევრები, მოქმედი და ვეტერანი კალათბურთელები. ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

საქართველომ 2021 წლის ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპის მასპინძლობის უფლება 15 ივლისს, მიუნხენში გამართულ ფიბა ევროპის გენერალურ ასამბლეაზე მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ავტომატურად მოიპოვებს ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას, რომელიც ჩვენი გუნდისთვის ზედიზედ მე-5 ევრობასკეტი იქნება.

ჯგუფური ეტაპი (4 სხვადასხვა ჯგუფი) გაიმართება საქართველოში (თბილისი), ჩეხეთში (პრაღა), გერმანიასა (კიოლნი) და იტალიაში (მილანი), ხოლო პლეი-ოფის მატჩებს ბერლინი უმასპინძლებს.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში გუნდურ სახეობაში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. თბილისმა ევრობასკეტს ერთადერთხელ, 1965 წელს მოსკოვთან ერთად უმასპინძლა და მაშინ ფინალური შეხვედრა მოსკოვში გაიმართა.

2021 წლისთვის უკვე დაგეგმილია ახალი მულტიფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობა. დარბაზი 15 000 გულშემატკივარს დაიტევს. ბათუმის მშენებარე სტადიონთან ერთად ეს არის ყველაზე მასშტაბური სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

ვიტალი ჯაფარიძე

თაოზა

ჩიხრაძის „ვერცხლი“

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა გიორგი ჩიხრაძემ (110 კგ.) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ქართველმა ფალავანმა გადამწყვეტი ორთაბრძოლა რუსეთელ არსამაგ ზასეევთან გამართა და 0:10 დამარცხდა.

კვარცხლბეკზე ასვლის შანსი დავით ფაცინაშვილსაც (65 კგ.), ჰქონდა თუმცა, მან ბრინჯაოს მედლისთვის დაპირისპირება იაპონელ რიოსუკე კერასთან 1:3 წააგო.

დღეს მედლებისთვის კიდევ 2 ქართველი მოჭიდავე იბრძოლებს. დავით აბდალაძე (60 კგ.) ნახევარფინალში რუს არიპ აბდულაევთან 0:10 დამარცხდა, ბრინჯაოსთვის კი თურქ, უკრაინელ და ბელგიელ ფალავნებს შორის უძლიერესს გაეჯიბრება.

დავით კუჭუაშვილმა (71 კგ.) ნახევარფინალი რუს იური პავლოვთან 0:8 წააგო და მე-3 ადგილისთვის შერკინებაში იტალიელ, ამერიკელ და ინდოელ მოჭიდავეებში საუკეთესოს დაუპირისპირდება.

კოზა კოზახიძე

ლეგენდა

ოპტიმიზმით აღსავსე

ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა კრიშტიანუ რონალდუმ Marca-სთან დამდეგი ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებზე ისაუბრა. პორტუგალიელი ფეხბურთელის განცხადებით, „იუვე“ ფავორიტთა შორისაა, მაგრამ ბევრი რამ იღბალზეც იქნება დამოკიდებული.

გარდა ამისა, რონალდუმ „ბარსელონას“ შესახებაც გააკეთა კომენტარი და თქვა, რომ მიუხედავად დიდი ინვესტიციებისა, კატალონელები ჩემპიონთა ლიგის მოგებას ბოლო დროს ვერ ახერხებენ.

„ყოველ წელი „იუვენტუსის“, „რეალის“ „ბარსელონას“ წელია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე მხოლოდ ერთი გუნდი იმარჯვებს. „ბარსელონა“ მოვიყვანოთ მაგალითად: ბოლო სეზონში ტრანსფერებისთვის უამრავი თანხა დახარჯა, ინვესტიცია განახორციელა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგება ვერ მოახერხა (რეალურად „ბარსას“ 4 წელია არ მოუგია – **რედ**).

მიმდინარე ზაფხულში „იუვეს“ შემადგენლობა გამყარდა და, როგორც ყოველთვის, გამარჯვებითვის იბრძოლებს,. თუმცა, ბევრი რამ ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული - ჯგუფებზე, ეპიზოდებზე, ტრავმებზე, იღბალზე... ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ გამარჯვებისთვის ყველა ინგრედიენტი გვაქვს და ან წელს გავიმარჯვებთ, ან გაისად“, – თქვა რონალდუმ.

ცნობისათვის: ამ დღეებში რონალდუ სწორედ აღნიშნული ესპანური გამოცემის დაწესებული პრიზის – „ლეგენდის“ მფლობელი გახდა, რომელიც ადრე ისეთ ტიტანებს გადაეცათ, როგორებიც არიან მარადონა, პელე, მესი, ჯორდანი, შუმახერი, ფელპსი და გაზოლი.

გიორგი შოთაძე

64

ჭადრაკული ლოგიკის, ტექნიკისა და ფსიქოლოგიის შემოქმედი

წარმოშობით გერმანელი, ლეგენდარული ემანუილ ლასკერი (1868, ბერლინეკი – პოლონეთი – 1941, ნიუ-იორკი) მსოფლიოს II ჩემპიონი. 1894 წელს მატჩში დაამარცხა მსოფლიოს I ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიცი (12:7), ხოლო 1921 წელს ტიტული დათმო ხოსე რაულ კაპაბლანკასთან (5:9). იგი ფილოსოფიის და მათემატიკის დოქტორი გახლდათ. „ჭადრაკის განვითარება ულასკეროდ წარმოუდგენელია“ – ამბობდა ალექსანდრე ალიოხინი.

მოსკოვი – 1936 წ.
ვ. გოგლიძე – ე. ლასკერი



32. ... ეძ2 33. [illegible] (გოგლიძე)
სწორი სვლა ეc3c2! [illegible]
ეძ3-ის [illegible] ეc2c3, მაგრამ [illegible]
[illegible] ეc1 [illegible] 33. ეc1c2?
[illegible]
[illegible]

კემბრიჯ-სპრინგსი, 1904 წ.
ე. ლასკერი – უ. ნეიპირი



25. ვ:h5 ვ:h5 26. ე:h5 მg3
27. მვg2 მ:h5 28. ე:b7 a5
29. ეb3 ვg7 30. ეh3 მg3
31. მვf3 ეa6 32. მვ:f4 მe2+
33. მვf5 მe3 34. a3 მa4
35. ვe3, 1:0 (36. g6)

მისი არაორდინარული „უფსკრულის პირას“ თამაში მეტოქეს მიაქანებდა შეცდომებისაკენ, რასაც ლოგიკის, ტექნიკური არსენალისა და ფსიქოლოგიური კომპლექსური მიდგომით წარმატებით აგვირგვინებდა. გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ გადასახლდა მოსკოვში (1935-1937), ხოლო მოგვიანებით გადავიდა ცოლის ნათესავებთან ამერიკაში და იქ აღესრულა 1941 წელს.

მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირში (1935), რომელშიც მონაწილეობდნენ ბოტვინიკი, კაპაბლანკა, ფლორი, შპილმანი, პირველმა ქართველმა საერთაშორისო ოსტატმა ვიქტორ გოგლიძემ ტოლი არ დაუდო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ლასკერს და რომ არა უნებურად ხელის შეხება არასასურველ ეტლზე, საყაიმო პოზიცია გარდაუვალი იყო. ამას ლასკერის სულსწრაფი რეაქცია მოჰყვა ხელების გაშლით და მხრების აჩეჩვით.

„ჯერ ადამიანი – მერე კი ჭადრაკი“ – ასეთ შეფასებას აძლევდა და მოძღვრავდა სულსწრაფ მოჭადრაკეებს ვახტანგ ქარსელაძე.

**მოამზადა
თამაზ შენგელიამ**

ინტერნეტიდან

ნეიმარს არ ეშვება

ბრაზილიელი ნეიმარის ყოფილი გულისსწორი, სერბი მოდელი სორაია ვუჩელიჩი ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მუდმივად ყოფნას, რასაკვირველია, თავისი ეპატაჟური ქცევებითა და თამამზე თამამი განცხადებებით ახერხებს.

სორაია ვუჩელიჩმა ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ ნეიმარს კვლავინდებურად უფანცქალებს გული მისი დანახვისას და მიუხედავად იმისა, რომ სორაიას შემდეგ ბრაზილიელი მობურთალის სარეცელში მრავალმა ქალმა იკოტრიალა, ფეხბურთელს გული მაინც სერბი მოდელისკენ მიუწევს.

ეს განცხადება, რა გასაკვირია, რომ მალევე აიტაცა მსოფლიოს ბულვარულმა მედიამ და ჟურნალისტებმა სორაიას განცხადების გადასამოწმებლად ნეიმარსაც მიაკითხეს. ბრაზილიელი თავდამსხმელი ნამეტანი გააღიზიანა ყოფილი სატრფოს ამგვარმა სითავხედემ და ვუჩელიჩის ნათქვამიც უარყო, მაგრამ სკანდალებზე მონადირეებს აწი რაღა გააჩუმებს?!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მედიცინა

25-დან 60 წლამდე ყველა ქალბატონს შეუძლია ისარგებლოს უფასო სკრინინგ-პროგრამით

საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს საშუალო მაჩვენებელი 100 ათას სულ მოსახლეზე 17 შემთხვევაა. მართალია, სუბ-საჰარულ აფრიკასა და ლათინურ ამერიკასთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ეს არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. პრობლემა ქართველი ქალების მენტალიტეტშია, რომელთაც ურჩევნიათ, არ იცოდნენ, რომ აქვთ ეს საშიში დაავადება, ვიდრე იცოდნენ და დროულად მართონ სიმსივნე საწყის სტადიაზე. ბევრმა არც იცის, რომ საქართველოში არსებობს სკრინინგის უფასო პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა, ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს მინიმალური დაზიანებაც კი, რაც განკურნების წინაპირობაა.

სკრინინგის პროგრამის ეფექტურობის შესახებ For.ge-ს ეროვნული სკრინინგ-ცენტრის ექიმი მეან-გინეკოლოგი, კოლპოსკოპისტი, მედიცინის დოქტორი **თამარ ალიბეგაშვილი** ესაუბრა:

— რა კეთდება სკრინინგის პროგრამის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად და რამდენად მნიშვნელოვანია დროული მიმართვიანობა, რაც ქართველი ქალბატონების აქილევსის ქუსლია?

— დროული მიმართვიანობა ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც თვითონ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის არსი არის ის, რომ გამოავლინოს უსიმპტომო პრობლემები, ე.წ. კიბოს წინა მდგომარეობა, რომელსაც ნამდვილად არ აქვს არანაირი ნიშანი. ეს მდგომარეობა უნდა იყოს აღმოჩენილი, რომ ვუმკურნალოთ ამ ფაზაში დაავადებას და არა მაშინ, როდესაც უკვე გვაქვს საშვილოსნოს ყელის კიბო. ამისთვის საჭიროა, სკრინინგს ეწვიონ ისეთი ქალები, რომლებიც თავს თვლიან ჯანმრთელად, ანუ არ აქვთ ტკივილი, სისხლიანი გამონადენი, არაფერი აწუხებთ, მაგრამ ამ დროს შეიძლება უკვე არსებობდეს კიბოს წინა მდგომარეობა.

— რა ასაკიდან უნდა ეწვივნენ სკრინინგ-ცენტრს ქალბატონები?

— 25-დან 60 წლამდე ყველა ქალბატონს, ვისაც დაწყებული აქვს სქესობრივი ცხოვრება, სამწლიანი ინტერვალით შეუძლია ისარგებლოს სკრინინგ-პროგრამით, რომელიც უფასოა მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს ნიშნავს, რომ ყველა ქალს შეუძლია ჩაიტაროს საშვილოსნოს ყელის ციტოლოგიური გამოკვლევა — პაპ ტესტი, რაც კეთდება ჩვენთან. პაპ ტესტის პასუხიდან გამომდინარე, თუ აღნიშნულ ტესტში არაფერი აღმოჩნდა, მაშინ ქალი იგზავნება სამწლიან რაუნდზე, ხოლო, თუ პაპ ტესტში მცირედი ცვლილება მაინც დაფიქსირდა, უკვე გადამისამართდება უფრო გაღრმავებულ დიაგნოსტიკურ კვლევაზე. ეს ნიშნავს საშვილოსნოს ყელის დათვალიერებას მიკროსკოპით — კოლპოსკოპიურ კვლევას. თუ საჭირო გახდა, ვიყენებთ ბიოფსიას, რათა კიდევ უფრო ზუსტი მორფოლოგიური დიაგნოზი გვქონდეს. სკრინინგ-პროგრამის ფარგლებში ესეც უფასოა.

— როგორია ბიოფსიის პროცედურა?

— ბიოფსია ძალზე მარტივი პროცედურაა. სპეციალური ხელსაწყოთი ხდება მცირე უბნის მოკვნეტა, მას ვაგზავნით ლაბორატორიაში, რათა ქსოვილის დონეზე შევისწავლოთ პროცესი. ციტოლოგია ნიშნავს უჯრედის დონეზე პროცესის შესწავლას, ჰისტოლოგიური კვლევა ქსოვილის შესწავლაა საბოლოო დიაგნოზისთვის.

— რამდენ ხანს მოიცავს და რამდენად მარტივია პაპ ტესტის ჩატარება?

— პაპ ტესტის აღება ძალიან მარტივია. ყველა ქალი ნამყოფია გინეკოლოგიურ კვლევაზე და მათ იციან, რომ ამ დროს ვათვალიერებთ ყელს, ანუ იდგმება საშოში ე.წ. გინეკოლოგიური სარკე, რომლითაც შეუიარაღებელი თვალით ხდება ყელის დათვალიერება და სპეციალური ჯაგრისით მასალის აღება, რომელიც არანაირ დისკომფორტს არ იწვევს.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს დაავადება დასაწყისში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. როდის დგებიან ქალბატონები ფაქტის წინაშე, როცა მათ უკვე საშვილოსნოს ყელის დაავადება აქვთ? როგორია ამ დაავადების სიმპტომები?

— ყველაზე საშიში სიმპტომი, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილოს ქალმა, ანუ ძალიან ადრეული სიმპტომი ეს არის რეპროდუქციული ასაკის ქალებში არარეგულარული სისხლიანი გამონადენი; ასევე, სისხლიანი გამონადენი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ; სისხლიანი გამონადენი უკვე პოსტსმენოპაუზური ასაკის ქალებში, რომლებთანაც, წესით, უკვე შეწყვეტილია მენსტრუალური ციკლი და ამ დროს ეწყებათ სისხლიანი გამონადენი. ასეთ დროს აუცილებლად უნდა გამოირიცხოს საშვილოსნოს ყელის კიბოს არსებობა. აგრეთვე, როცა შორს წასული მდგომარეობაა, იქ უკვე ხდება შარდვის გახშირება, ტკივილი შარდვის დროს, ზოგადად, მუცლის ქვედა ნაწილის ტკივილი. ეს შორსწასული სიმპტომებია, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, პირველადი სიმპტომები ეს არის სისხლიანი გამონადენი, რომელიც არ უნდა იყოს.

— რისკფაქტორები და გამომწვევი მიზეზები რა არის?

— მთავარი რისკფაქტორი და გამომწვევი მიზეზი არის პაპილომავირუსული ინფექცია, რომელიც უამრავ ხალხს აქვს, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას არ ემართება საშვილოსნოს ყელის კიბო, რადგან ამ დაავადების დროს მნიშვნელობა ენიჭება პაპილომა ვირუსის ტიპს. არსებობს 15 ონკოგაგრესიული პაპილომა ვირუსის ტიპი და, თუკი ერთ-ერთი მათგანით მოხდა ინფიცირება, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი უკვე არსებობს.

— თუმცა პაპილომა ვირუსი აპრიორი არ ნიშნავს, რომ საშვილოსნოს ყელის კიბო დაემართება ქალს?

— აპრიორი ამას არ ნიშნავს. ქალი შეიძლება დაინფიცირდეს ამ ინფექციით, მაგრამ ორგანიზმის იმუნური ძალების ხარჯზე მოხდეს ამ ინფექციისგან მისი განთავისუფლება. რაც შეეხება რისკ ფაქტორებს, ესენია მრავალი სქესობრივი პარტნიორი და სქესობრივი ცხოვრების დაწყება ადრეულ ასაკში, ნიკოტინის მოხმარება, რასაც ერთ-ერთი ძალზე მჭიდრო კორელაცია აქვს საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებასთან, ასევე, ჰორმონალური კონტრაცეფციის ხანგრძლივი დროით მოხმარება, როდესაც ათ წელზე დიდხანს იყენებენ ჰორმონალურ კონტრაცეპტივებს, აგრეთვე, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, მათ შორის, ქლამიდია, ჰერპესვირუსი, ტრიქომონიაზი. ბარიერული კონტრაცეფციის გამოუყენებლობა, ანუ კონდომის გამოუყენებლობაც ერთ-ერთი რისკფაქტორია. ასევე, ზოგადი იმუნოსუპრესური მდგომარეობა, როგორიც გვხვდება აივ-ინფიცირებულ პაციენტებში ან ორგანოთა ტრანსპლანტაციის დროს, როდესაც ხელოვნურად ითრგუნება იმუნიტეტი. ეს ყველაფერი რისკფაქტორია.

— ამიტომ მთავარია, ვმართოთ გამოვლენილი პათოლოგია?

— რა თქმა უნდა, რადგან საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია თითქმის 100%-ით შეიძლება, თუკი დროულად იქნა გამოვლენილი კიბოს წინა მდგომარეობა და სწორად იქნა მართული. ხშირ შემთხვევაში, ჩვენ ხანდახან მხოლოდ დაკვირვების რეჟიმი გვჭირდება ასეთ ქალებთან, რადგან თვითონ კიბოს წინა მდგომარეობასაც აქვს გარკვეული ეტაპები — მსუბუქი, ზომიერი, მძიმე დისპლაზია. მსუბუქი დისპლაზიის დროს შეიძლება მთელი ცხოვრება ჰქონდეს ქალს ეს დაავადება, მაგრამ არაფერ ცუდში არ გადაიზარდოს, მაგრამ, როცა საქმე გვაქვს ზომიერ, ან მძიმე დისპლაზიასთან, იქ მეტი ალბათობაა, კიბო ჩამოყალიბდეს. ასეთ დროს აუცილებელია მკურნალობა, რაც გულისხმობს დაზიანებული კერის მოშორებას. ეს არის მცირედი მანიპულაცია, რომელიც შეიძლება იყოს ე.წ. დესტრუქციული მეთოდი, როდესაც უბრალოდ ნადგურდება ეს ქსოვილი; შეიძლება გამოვიყენოთ კვეთითი ტექნიკაც, რასაც ის უპირატესობა აქვს, რომ, რაც იკვეთება, ის იგზავნება დამატებით კვლევაზე, რათა ზუსტად განვსაზღვროთ, როგორ დავგეგმოთ მკურნალობის შემდგომი მეთვალყურეობა. ხშირად ქალებს ჰგონიათ, ერთხელ ჩავიტარე მკურნალობა და მორჩა, მეტი არაფერი დამემართება, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. იმავე პაპ ტესტის სკრინინგის დროსაც ქალებს არასწორი შეხედულება აქვთ, რომ ერთხელ ჩავიტარე პაპ ტესტი და მეტი აღარ მჭირდება. ამ დროს რეგულარულ დაკვირვებას საჭიროებს საშვილოსნოს ყელი. პაპ ტესტის შემთხვევაში, დაკვირვება საჭიროა სამ წელიწადში ერთხელ. ხოლო, თუ მკურნალობის შემდგომი მეთვალყურეობაა დანიშნული, იქ უფრო მჭიდრო მეთვალურეობაა საჭირო პირველი ხუთი წლის განმავლობაში, შემდეგ ის ქალებიც გადადიან სამწლიან რეჟიმზე.

— საშვილოსნოს ყელის კიბოს სტატისტიკა როგორია მსოფლიოსა და საქართველოში?

— სტატისტიკიდან გამომდინარე, მსოფლიო რუკა ძალიან ჭრელია. ყველაზე ცხელი უბნები, სადაც მაღალია ავადობის მაჩვენებელი, ეს არის სუბ-საჰარული აფრიკა, ლათინური ამერიკა. ეს რუკა აივ-ინფიცირების განვითარების რუკას ძალიან მიჰყვება.

— აზიურ ქვეყნებში რა ხდება?

— აზიურ ქვეყნებში საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევები შედარებით ნაკლებია, რადგან აქ ერთი დამცავი მექანიზმია, კერძოდ, მამაკაცების წინადაცვეთის ტრადიცია. ეს ტრადიცია ამცირებს პაპილომა ვირუსით მამაკაცების ინფიცირების რისკს და შემდეგ უკვე ქალისთვის გადაცემის რისკს. ევროპაში ყველაზე უფრო ხშირია ეს დაავადება აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე — რუმინეთი, ბულგარეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ საშუალო მაჩვენებელი გვაქვს, ეს არის 100 ათას სულ მოსახლეზე 17 შემთხვევა. საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ფინეთს, შვეიცარიას, სადაც ასი ათას სულ მოსახლეზე 5 ქალი მოდის, რუმინეთზე კი მოდის 35 ქალი. ჩვენი სკრინინგის მთავარი გამოწვევაა მთლიანი მოსახლეობის მოცვა, სკრინინგი ეფექტურია იმ შემთხვევაში, როცა რაც შეიძლება ბევრი ქალია ჩართული ამ პროცესში.

იმ ქვეყნებში, სადაც ეს პროცესი ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს, ქალის მენტალიტეტში ეს კარგადაა გამჯდარი, მათ იციან, რა მნიშვნელობა აქვს ადრეულ დიაგნოსტიკას, ამიტომაც ასეთ ქვეყნებში ამ დაავადების დაბალი მაჩვენებელია. საქართველოში გარკვეული მენტალური ბარიერი არსებობს, ჩვენს ქალებს ურჩევნიათ, არ იცოდნენ დაავადების შესახებ, ვიდრე იცოდნენ და მიხედონ ამ პრობლემას. დღეს კიბოს წინა მდგომარეობის მოვლა სულაც არ არის რთული, ეს ძალიან ადვილია, შედარებით იაფია, ვიდრე განვითარებული კიბოს მართვა და ეფექტურიცაა გამოჯანმრთელების თვალსაზრისით. ამიტომ არ უნდა არსებობდეს დიაგნოზის შიში. ყოველთვის ჯობს, იცოდე, რა ხდება და დროულად მართო, ვიდრე შორს წასული მდგომარეობის ფაქტის წინაშე დადგე.

მანანა ნოზაძე

სულთათანა

რეზო ამაშუკელი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მარინა ჯიქია

და თანაგრძნობას უცხადებს მის ახლობლებს.

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ოჯახს საზოგადოების წევრის, სკოლის წლების მეგობრის, მეცნიერისა და მწერლის, ქ. ფოთის საპატიო მოქალაქის

რევაზ ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო. გამგეობის სახელით:

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ძვარცხავა, გულთაზ ლაბარტყავა, მერაბ ზამბახიძე, ჯემალ კახიანი, გივი აგდუშელიშვილი, ლია წურწუმია, თენგიზ უჩანეიშვილი, გია სვანიძე, იურა ალანია, გესო ძორძია.

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომელი

თამარ ბერიოზაშვილი

და უთანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მაშველებმა მეშვიდე დაღუპულის ცხედარი იპოვეს

ფშაველი-აბანო-ომალოს უღელტეხილზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ სამაშველო საძიებო ოპერაცია დასრულებულია.

ხეობაში ამ ხნის განმავლობაში მობილიზებული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კახეთის სამმართველოს და მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების სამაშველო ჯგუფები.

ავტოსაგზაო შემთხვევა 27 ივლისს მოხდა.



მეგობარო კალმისაო...

კოლეგას - გივი ჯახუას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს



ნათქვამია, მღვდელი ჭილობში იცნობაო... ჩვენთვის, მეგობარ კალმოსანთათვის, მეტადრე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომელთათვის გივი ჯახუა, საქმემან მისმან, უკვე კარგა ხანია, რაც ხვავრიელმა და ბარაქიანმა ნამოღვაწარმა წარმოაჩინა.

მართლაც, ხუმრობა ხომ არ არის, მთელი შეგნებული ცხოვრება, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სიჭაბუკის ქალაქ რუსთავს მიუძღვნა, იქაურ მეტალურგიულ ქარხანაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე გამოიწრთო, ვითარცა ფოლადი; რედაქტორის რანგში გაზეთ „მეტალურგს“ საკუთარი კვალი დააჩნიო, ხოლო შემდეგ, თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ქვემო ქართლის ზონალური კორესპონდენტის ჭაპანს სწევდე.

გამწევი ხარისა არ იყოს, გამორჩეულად ნაყოფიერია მისი ნააზრევი, რომელიც 9 მოთხრობების წიგნისა და 3 ათასზე მეტი პუბლიცისტური სტატიის ავტორობაში აისახა, თუმცა, ჯერ სადა ხართ, ამჟამად გამოსაცემად მზად აქვს და დასტამბვის მოლოდინშია გივის ნაწარმოებთა ორტომეული.

ნიშანდობლივია, რომ სამაგალითო მეოჯახის სახელს უკავშირდება გასული საუკუნის წინააღმდეგობებით აღსავსე 90-იან წლებში ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ინდუსტრიულ ცენტრში პირველი დემოგრაფიული საზოგადოების დაფუძნება, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა მრავალშვილიან ოჯახებს და ხელს უწყობდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ზრდას.

რუსთავის საპატიო მოქალაქე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი 1977 წლიდან, ქვემო ქართლის ასოციაცია „რუსთაველის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე, „ღირსების ორდენის“ კავალერი, დავით კლდიაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული და სერგი მესხის პუბლიცისტური პრემიების ლაურეატი, მსოფლიო მწერალთა ასოციაციის წევრი ჩვენ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტებს განსაკუთრებით გვეძვირფასება, როგორც ძველი გვარდიის ღირსეული წარმომადგენელი და სასურველი ავტორი, რომელსაც მუდამ საფიცარი სამშობლოს მაჯაზე უდევს ხელი და მის თითოეულ სატკივარს პირუთვნელი სტრიქონებით ეხმიანება.

დაბადების დღეს გილოცავთ, საიმედო კოლეგავ და თანამებრძოლო!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

თურქეთის კუნძული 3 მლნ დოლარად იყიდება

თურქი ბიზნესმენი, თურქეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ბუსას მახლობლად მდებარე კუნძულს ყიდის. კუნძულის საწყისი ღირებულება 17მლნ ლირაა (3 მლნ დოლარი).

გამოცემა Sabah-ის ინფორმაციით, კუნძული ულუაბატის ტბაში, ხმელეთიდან 2 კმ-ს დაშორებით მდებარეობს. კუნძულზე 500 ძირი ზეთისხილის ხეა და ასევე, ადგილობრივმა მთავრობამ შესაძლოა კუნძულის მფლობელს 1-სართულიანი ვილის მშენებლობის ნებართვა მისცეს.

ბიზნესმენი ნედიმ ბულუტი კუნძულს 80 წლის განმავლობაში ფლობდა.

კუნძული შესაძლოა ტურისტული მიზნებითაც იყოს გამოყენებული, კუნძულზე კაფე-რესტორნის მოწყობაა შესაძლებელი.

◎ პერსონა

ვინ ბრძანდებით თქვენ, ბატონო პრემიერო?

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ამჟამად კი ქვეყნის პრემიერი ბორის ჯონსონი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა.

მისი მშობლები თურქეთსა და რუსეთთან დაკავშირებული ინგლისელები იყვნენ. კერძოდ, მამამისის ბებია ჩერქეზი იყო, რომელიც კავკასიის ომის დროს ოსმალეთში გადასახლდა, ხოლო მისი მეუღლე კი ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდათ.

ებრაული წარმოშობის დედის მხრიდან დიდი პაპა კი რუსეთის იმპერიაში დაიბადა. დიდი ბრიტანეთის მთავრობის ახალ მესაჭეს სახელი — ბორისი — სწორედ რუსული თეთრი ემიგრაციის ერთ-ერთი ოფიცრის პატივსაცემად დაარქვეს, რომელთანაც მისი მშობლები მეგობრობდნენ.

სხვათა შორის, დიდი ხნის მანძილზე ბორის ჯონსონს ორმაგი — ბრიტანეთის და ამერიკის მოქალაქეობა ჰქონდა, თუმცა ამ უკანასკნელზე უარი 2016 წელს განაცხადა.

ნინო ალექსანდრია

რა ეშველება შავ ზღვას?

შავი ზღვა ორჯერ უფრო მეტად არის დაბინძურებული ე.წ. საზღვაო ნაგვით, ვიდრე ხმელთაშა ზღვა. ამის შესახებ ნათქვამია შავი ზღვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში.

შავი ზღვის წყლების შესწავლა განხორციელდა 2017-2019 წლებში საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის ტერიტორიულ წყლებსა და ღია ზღვაში.

შავი ზღვის ეკოლოგიურმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ შავი ზღვაში აღმოჩენილი საზღვაო ნაგვის უმეტესობა პლასტიკური ნივთიერებაა, მაგალითად, პლასტმასის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები და ა.შ.

შავ ზღვაში ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოდის 90,5 ერთეული ნაგავი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შავ ზღვაში აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთიერება, მათ შორის ქიმიური, ასევე პესტიციდები და ბენზოაპერინი საშიშია ადამიანებისა და შავი ზღვის ეკოსისტემისთვის.



მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 3 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9507; ევრო - 3.2889;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5957;
100 რუბლი - 4.6554; თურქული ლირა - 0.5283;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7408;
1000 სომხური დრამი - 6.1989.

ამინდი 1 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge